

36 J. 950  
1805  
# 40

১৯১৮ সালের  
১০ নং সংখ্যা

# শিশুশিক্ষা



১৯১৮

# შინაარსი

ქ უ რ ნ ა ლ „ჯ ე ჯ ი ლ ი ს ა“



ქართული  
ბიბლიოთეკა

I	ფისო, არ მოგცემ კნუტს: სურათი . . . . .	2.
II	გაზაფხული ბაღში—ლექსი . . . . .	3.
III	დედა—ალფასი . . . . .	5.
IV	გორგალა—ტასოსი . . . . .	6.
V	ამანაც მითხრას და გაფუშვებ! ალფასი . . . . .	8.
VI	ციყვი და თავგი—ლექსი შიო მღვიმელისა . . . . .	10.
VII	კოწო და მისი ამხანაგები (შემდ. იქნ.) ან. წერეთლისა . . . . .	13.
VIII	ბაბლი (დასასრული) ეკ. გაბაშვილისა . . . . .	22.
IX	ზღაპარი ერთი ღია ბარათისა, თარგმანი თამრიკო ხუნდაძისა . . . . .	28.
X	უნებური ზვარაკი—ცკვიტისა . . . . .	32.
—		
XI	საფეიქროში—ლექსი გ. ქუჩიშვილისა . . . . .	39.
XII	მიხეილ თუმანიშვილი—ნეკროლოგი, ჩიტოსი . . . . .	40.
XIII	სპარტაკი. (შემდეგი იქნება) დავით კასრადისა . . . . .	43.
XIV	კაპიტანი იანვარი (გაგრძელება იქნება) ნ. შ. . . . .	46.
XV	ხელოვნება და ხელობა ცხოველთა შორის—ა. ფალავა . . . . .	53.
XVI	ჩვენი დედა-მიწა, ელ. ჭიჭინაძისა. (შემდეგი იქნება) . . . . .	57.

მიიღება ხალის მოწერა

# ჯეჯილზე

1918 წლისა

ოცლა მეცხრა წელიწადი

899.962.1(05)

შ-40

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



1317

F-5824



# საქართველო ნახატებიანი ქურნალი.

იზარდვ მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი ვახდი ყანაო..

ი. დ.

მარტი 1918 წ.

წილიწადი ოცდამეცხრე

ქვეყანა	№
დასახლება	№
სახლი	№
სახელი	№
გვ. №	9507.8



ფისო, არ მოგცემ კნუტს!

## გაზაფხული გალუი.



ცის კაბადონს მზის სსივებმა  
მიულოცა გაზაფხული;  
მიწა მწვანით იმოსება,  
ველზე დანჯქრის სისარული!

---

ბაღში სილი იკვირტება,  
ჩირვუ ქვეშ ვუზუის ნაზი ია,  
ეველა იქით მიიჩქარის,  
ბაღის კარს სვდებათ ღია!

---

აგერ მორბის ჩვენს გიგა,  
მას თან მოსდევს კოსტა მარო,  
ბურთი მოაქვთ თამაშითა,  
მაგრამ მათში არ სჩანს ბაბო!

---

რად ჩამორჩა ნეტავ იგი,  
იქნებ სხვისას შეიბინა? —  
რომ მოსძებნოს თავის ტოლი,  
მეგობარი ცველქი თინა!

მაგრამ, დასეთ! ბაბომ გნაში  
 ნახა თურმე მათხოვარი,—  
 ფეხშიძველს და დარდინსა  
 დაჭმუნუნოდან შუბლის ღარი!

შეკრთა ჩვენი ცელქი გოგონა,  
 დაავიწუდა (ექვზ, ბურთი...  
 დაავიწუდა თამაშობა,  
 მოაგონდა ფულის ეუთი!

მოკრიალდა ცქვიტათ, მარდათ  
 სახლისაკენ გაექანა,—  
 ფულის ეულაბს ხელი სტაცა  
 და მათხოვარს მიუტანა!

— ჰბ, ფულები, შე საბრალო,  
 როგორც კსურდეს მოიხმარე,—  
 ზური სჭამე, საცოდავო,  
 და სევდები უგუჭვარე!

ეს უთხრა და ბაღის კარი  
 ასკინკილით შეიბინა,—  
 ისიც იქით გაექანა,  
 სადაც ცელქებს ჭქონდათ ბინა!

ასტუდა ბაღში სმაურობა,  
 ქრიაშული, ცეკვა, თარი...  
 და შესძახეს: „განსაფხულო,  
 კელით, გვიფარს თბილი ღარი!“

# დ ე ღ ა.



ემთან ეოველ დღე მოდიოდბ  
ჰატარა მათხოვარი.

დღდა კხაზნიდა ფულის ხა  
მოუნელათ. მე მას ვაძლეუდი  
ჰურს.

სიამოვნებით ამბობდა, რომ არჩენს დედას.

„განა მოკვონს მაკრე წანწალი?“ დავუკითხე მე.  
არა, მას არ მოსწონდა.

„მაშ დარჩი ჩემთან, მე შეგიკურავ ლამაზ ხალათს,  
კიეიდი ფეხსაცმელს, შენ კარგად იქნები ჩემთან.“  
— დედა?

„დედა იმუძავეებს და ირჩენს თავს, აბა იფიქრე,  
აღარ დაგჭირდება თხოვნა, წანწალი, შენ იქნები  
სითბოში. მეტყე სკოლაში მიგაბარებ. დარჩი ჩემთან.“

— დედა? იმეორებდა ჰატარა.

„რადათ გინდა დედა?“


ბავში სდუმდა.

უსებ ასწია თავი, კანილიმა და მიზასუნა:


— რათ მინდა დედა? საღამოობით ჩვენ ჩავუკონგ-  
ბით ერთმანეთს და დავიძინებთ.

ამის წინაღმდეგ კი აღარაფრის თქმა არ შეეძლო.

აღფა.



## გოგონა.



ებია ჩემი თითქმის ყოველ საღამოს ჩვენსა მოდიოდა. სამთრის გრძელ ღამეებში, როდესაც გაკვეთილების მომზადებას ვათავებდი, მომიეგებოდა ძველ ამბებს და მე სმენათ გადავიქცეოდი სოლძე. ძილის წინ ბებია ზირჯვარს გადამწერდა და ტკბილათ ჩამისუტებდა.

ჩვენ ვიდრეც თუ სხვა სახეობის ში. ვიწრო, ძალადი კიბე აღიოდა აივანზე. ჩვენი სადგომის კარები კიბესთან სულ ახლო იყო. მერე, აივანზე რომ გადავდივით, ცოტა მოშორებით, იყო ბებია ჩემის ბინა. კაი დარი იქნებოდა თუ ავი, ფეხ დაუსველებლათ ბებია შემოვიდოდა ჩვენთან. მას ჩვენამდის ყოველთვის ჰატარა ბანჯუკლიანი ძაღლი გორგალა აცილებდა. ერთგული ძაღლი მოაცილებდა კარებამდის, მერე მოჰკურცხლავდა და ბებიას წასვლამდის ვინ იცის სად დაჰქროდა. მის წასვლის დროს კი ჩვენ კარებთან მოიკალათებდა და ბებიას ელოდა.



ერთხელ, უქმე დღის წინა ღამეს, ბევრი აძებობის თსრობით ბებია ძალიან მოვლალე. ჩაციებით ვეკითხებოდი დიმიტრი თავდადებულზე; ამასობაში ისე ტკბილათ ჩამეძინა, რომ ვერ გავიგე მისი ოთახიდან გახვლა.

ღეღა ჩემსაც ჩასთვლემოდა. ჰატარა ხანს უკან გორგალას გამწარებულმა ვეფხამ და კარების ფხაჭხამ გაგვადვილა. ძალღი ღამობდა კარების გაღებას. გორგალა ისე ჩაციებით ხმაურობდა, რომ ღეღა ძალა უნებურათ წამოდგა, კანლო კარი.

გორგალა კიბისაკენ იწეოდა, იქით მიჭყავდა ღეღა. ბებია, იმის მაგიურათ რომ მარჯვნივ შეეხვია, თავის ბინისაკენ, შეცდომით წასულიყო მარცხნით და ჩაგორებულიყო კიბეზე.

მეც წამოვვარდი ქვეშაგებიდან, გავვარდი კარეთ და რა დავინახე! ჩემი საუვარელი ბებია კიბის ძირას გართხმულიყო, მეგონა მოკვდა-მეთქი — ღრიალი მოურთე...

გორგალა ულოკავდა ბებიას ხელებს, ჰირი-ხახეს და ვეელას საცოდანათ თვალებში შესცქეროდა, თითქოს ეხვეწებოდა — უშველეთ რამეო!

მერე, როდესაც ბებია მიაწვინეს ქვეშაგებზე და გონს მოვიდა, გორგალამ ახლა მე დამიწყო ლაქუცი და ალერსი. თითქოს ნუგემსა მცემდა.

ამის შემდეგ გორგალა ჩვენთვის დაუფასებელი მეგობარი გახდა. ბებიას ერთგულ წინამძღვარს სიხარულით მივეკებებოდით ხოლმე კარებში.

## აგანაჲ მითხრას და გავუშვაგ!



— დედა, შეხედე, რა მშვე-  
ნიერი ჰეპელა დავიჭირე!

ამ სიტყვებით მიიღბინა  
პატარა ნუცამ დედასთან და  
ახვენა ჰეპელა, რომელიც  
იქვე ვარდის ბუჩქზე დაე-

ჭირა.

— საცოდავი ჰეპელა, უთხრა დე-  
დამ. — გაუშვი, ნუცა, გასსოვს მე რომ  
გუშინ ლექსი წაგვიტოვებ, ჰეპელა რომ  
ევეღრებოდა ეძაწვილს „გამიძვი, ნუღარ  
მაცდენო.“

ნუცა უურს უგდებდა დედას, მაგრამ  
არ მოხწონდა მისი სიტყვები, გაუშვას...  
მას კი უნდოდა ჩაესვა იგი ლამაზ  
უთში, ეოველ დღე ევაგილი მიეტანა

ამანაც მითხრას და გაუშვებ.

კოკონა ცოტა ხანს სდუმდა, მერე თითქოს გა-  
დასწევიტა რაღაცა... და უთხრა დედას: „მეც მითხრას  
და გაუშვებ.“

—დაისვი ხელის გულზე ეკ ჰეპელა, ვნახოთ,  
ეგებ მაგანაც გითხრას.

ნუსამ დაისვა ჰეპელა ხელის გულზე.

პირველათ რამოდენიმე წამს ჰეპელა გაუნძრევ-  
ლათ, თითქოს ძეგდარიაო, ისე იდო ხელის გულზე.  
მერე უცებ ფრთები შეათამაშა, აიწია, და გაფრინდა.


გაოცებულმა კოკონამ მხოლოდ ეს და მო-  
ასწრო:

„დედა, რომ არა უთქვამს რა ჰეპელას? გაფრინდა...“

—არა, შვილო, ისე წენარათ გითხრა, რომ შენ  
ვერს გაიგე რა. ესლა მინდორში მხეს, ყოველ უზა-  
ვიდს, თაფის დობილებს, ეველას ეტევის—რა კეთი-  
ლი კოკონაა ჰატარა შავთვალა ნუსა.

აღფა.





## ციხვი და თაგვი.



შიოდეს, ზური წინ გედოს  
 არაფრის საღეველითა,  
 გინდოდეს გულით აღება  
 და ვერ სწვდებოდე ხელითა!  
 ამაზე მეტი სიძნელე,

ამაზე მეტი წვალება,  
 არ ვიცი, განა როდისმე  
 კვლავ კიდევ დაგვეწვლება?!

მივედი ქოხში მოღლილი  
 შიძშილის მოკვლის ბოდვითა,  
 ვერ დავეკარე ლუკმა ზურს  
 ჩემი შვილების ცოდვითა.

მე შემეჭაბა? იმათ ხომ  
 შიძშილი ამოხრცავდა,  
 მერე სულ ზაწაწკინტვლა

ზურის კარძემო ცოცხადა.

მეჯინჭრებოდა სსეუელი,  
კული დნებოდა, კვდებოდა  
და კადაწვდილი თითები  
ჭაერში მიშეძდებოდა.

რო ჰირუტევები ასე ვართ  
და კვიკაწკაწებს კბილები,  
ნეტავი რადას სხადიან  
ძეტეველთ ცოლი და შვილები?!

— არაფერს, ჩემო ციფუნე,  
უარეს დღეში ხირიან,  
დღეები იტანჯებიან,  
როცა ბაღლები ტირიან.

აღარსად ნამგალი მოსჩანს,  
აღარსად ნამკლის ძლესავი;  
ძინდვრებიც ოსრადა ჰურიან,  
რაკი აღარ ჰყავთ მოესავი.


ვაკეცნი აუეოლიან  
რადაც თოფების სროლასა  
და აღარც ერთი არ ფიქრობს  
მწარე შიმშილთან ბრძოლასა...

ჩვენც სომ უარეს დღეში ვართ  
ქურდ-ბაცაცები, მხდალები;  
დავძვრებით ტიტეულ ძინდვრებში  
ღღემუდამ ხახა-მშრალეები.

კაცის ნაშრომზე ჩვეულებს  
 რომ ვერა გაგვიწუვია რა:  
 მუსრს გვაჯლებს შეუბრალებლათ  
 შიმშილ-წუერვილის იარა.

წრუწუნები და მოხუცნი  
 უფრო სძირათა კვდებიან...  
 ნეტავი მიწის მშრომელნი  
 როდისთვის დაბრუნდებიან?!

ზიო მღვიმელი.



## კოწოკ და მისი ამხანაგები.

კოწოკ ნადირობს.



კოწოკს ძამას ძალიან უყვარდა ნადირობა, მაგრამ იშვიათად მიდიოდა სანადიროთ. საოჯახო საქმეები უძლიდენ.

ერთხელ მან უთხრა შვილს:

— ხვალ სანადიროთ ვაპირებ. დიდი ხანია—და ზირებუელი ვარ რომ წაგეყვან. აბა, რა გაეწეობა.

— მართლან? ჰკითხა კოწოკი. თითქოს არაფრით მიიჩნია, გული კი აღტაცებით აუტოკდა.

— იქნება სულაც არ გინდა რომ წაგეყვანო? დიმილით შეაწყურდა ძამა.

— როგორ თუ არ მინდა? ტყუილათ, ძამილო, თავს ნუ იძორებ. ერთხელ თქვი რომ წამიყვან—მორჩა და გათავდა.

— უცნაური ხარ, შვილო, უთხრა სიცილით ძამამ.—სხვა ჩემ ალაგას გაგიჯავრდებოდა მაგ გვარლანაჩარაკისთვის.

— ის მაშინ სხვა ძამა იქნებოდა, შენ არ გაძიჯავრდებოდი, უთხრა კოწოკი და ქვეშ-ქვეშ შესედა ძამას.

ძამამ შესცინა და კოწოკი დამშვიდდა.

მეორე დღეს ძალიან ადრე, ჯერ კარგა გათენებუელი არც კი იყო რომ ძამამ კოწოკი გააღვიძა. ოთახში ბნელოდა. მან სანთელი აანთო. კოწოკს ისე ეძინებოდა რომ ბალიშიდან თავი ძაღლსა ვერ აგლო.

მაგრამ, რომ მოაკონდა სანადიროთ წასვლა, საჩქაროთ  
 ზესე წამოხტა.

— დაბამბული ზალტო ჩააცვი, წამოიძახა დედამ  
 ქვეშაგებიდან ნამძინარევი ხმით, ცივი დილას, არ  
 გაცივდეს.

მართლაც, კოწოს სიცივით კბილი კბილს აცე-  
 მინებდა, თბილ ლოგინიდან რომ წამოდგა. ეტეო-  
 ბოდა გარეთ დიდი სიცივე იყო.

— კალათით სანოვაგე მოკომსადეთ, ჰურის საჭ-  
 ძელ ოთახშია. ზატარა ქვაბი მატრონას გამოართვით,  
 წამოიძახა ისევ დედამ.

— კარგი, კარგი. შენ იმინე, ჩვენ თვითონ მოვ-  
 ნახავთ ეველაჟურს.

კოწომ საჩქაროთ თბილათ ჩაიცვა, ქუდი დაიხუ-  
 რა და ისა და მამა გამოვიდენ გარეთ.

არე-მარე ისევ სიბნელით იყო მოცული. სასლის  
 წინ ერთი ცხენით შებმული ჰოვოსკა იდგა. კოფოზე  
 მოჯამაგირე არსენა ქურქში გახვეული იჯდა. ჭაერი  
 დანისლული და ცივი იყო. მატრონამ სასლიდან  
 სანოვაგით სავსე კალათა გამოიტანა. უკან მას მოსდევ-  
 ვდა დიანკა, რომელიც სისარულით კისერზე ახტებო-  
 და თავის ზატრონს. ზატრონის ხელში რომ თოფი  
 დანახა—მიხვდა რომ სანადიროთ მიდიან. კოწო  
 შესტა ჰოვოსკასე. მერე მამა ავიდა და ფრთხილათ  
 მოათავსა კალათა. დიანკამაც მოიკალათა იმათთან.  
 ის ფეხით არ მიჭყავდათ, რომ ადრევე არ დაღალუ-  
 ლიყო. მადიან ნახი მადლი იყო და მალე იდლებოდა.

დაიძრენ. გასწიეს. ნისლი ცოტ ცოტა გაიფან-  
 ტა. განათდა არე-მარე. მაგრამ მხეს ამოსულა არ  
 ეტეობოდა. ღრუბლიანი დღე იქნებოდა. ცა მოღუშუ-  
 ლი იყო, თითქოს, ეს არის ახლა იწვიმებისო. არ  
 წვიმდა კი. წენარი ჰყარე იდგა. ფოთოლი არ ინ-  
 ძრეოდა.

მაღე მიაღწიეს მახლობელ ტყეს. გაიარეს ტყეც,  
 გავიდენ გაკაფულ ადგილას, მდინარის ნაპირს, ტეის  
 მცველის ქონიც გამოჩნდა. მიაყენეს ცხენი ქონთან.  
 მამამ უთხრა კოწოს:

— ჩვენ აქ დავტოვებთ ცხენს და ფეხით უნ-  
 და წავიდეთ. შენ სომ არაფერი გინდა ჭამო.

კოწოს სული ელეოდა, ჩქარობდა, რა ჭამის დრო  
 იყო. მამამ სანადირო აბკაში რამდენიმე კუჭატი ჩაი-  
 დო. კოწოს გახსდევინა თბილი ჰალტო, რომ სიარუ-  
 ლი არ გასძნელებოდა.

მდინარის გასწვრივ წავიდენ. წელის პირი და-  
 ბალი, ჭაობიანი იყო, ზოგ ადგილას ტალახის გუ-  
 ბეები იდგა. ადგილ ადგილ ბალახიანი ბეგობი იყო.

ისინი მშრალ ადგილებს არჩევდენ, მაგრამ ზოგ-  
 ჯერ ჭაობებში იფლებოდენ. ფეს ქვეშ მიწა სანდო  
 არ იყო, იფშენებოდა კაცის სიმძიმის გამო.

— რა ჭაობი ეოფილა, თქვა კოწომ, — შიგ სომ  
 არ ჩავუარდებით?

— არა, აქ საშიში არაფერია, უთხრა მამამ, — ეს  
 ადგილები მე კარგათ გაცნობილი მაქვს. მართალია,  
 ზოგჯერ ძალიან საშიშია ამხარე ჭაობები ხშირ

ტეეში სოლმე. ერთხელ მე კინაღამ ჩავინსრზე მაგ-  
 გვარ ჭაობში.

— ძიამბე, როგორ იყო, ჩემო ძამილო, სთხოვა  
 კოწომ.

— ერთხელ მე ამხანაგებთან ერთად ნადირობის  
 დროს მათ გაუმორდი. ადგილები უცნობი იყო. ტეეთ  
 მივდიოდი. რაც უფრო შორს მივდიოდი, ტეე თან  
 და თან ხშირი და ხშირი ხდებოდა, გავლაც შეძნელე-  
 ბოდა. უცბათ განათდა და მწკანე მინდორზე გავედი.  
 მე ვერ მოვიანსრე, რომ ბალახი მეტათ ღია ფერისა  
 იყო და გავედი ზედ. თავდაპირველათ ვგრძნობდი  
 მსოფლით, რომ რბილათ მივდივარ, მერე ვიგრძენ,  
 რომ ჩემ ქვეშ ადგილი ინძრევა, ირღვევა. ვიფიქრე—  
 ტბა ხომ არ არის მეტეი, რომელზედაც ბალახი  
 ამოსულა. სოკჯერ მოხდება აგრე. დაკუბებულ წყალს  
 სცვივა გაძმძარი ფოთლები და ზედ მტვერთან ერთად  
 ქარს მოაქვს ბალახის თესლები და ასე ჩნდება სამ-  
 უურა ბალახი, მერე ამოდის ჭაობის სხვა და სხვა  
 ბალახები და მათი ფესვებით იკურება ძლამი, თით-  
 ქოს წყალზე მწვანე ქვეშაგებია გაშლილიო. მე ვი-  
 ცოდო რომ არის მაგ გვარი ტბები და ზედ გავლას  
 ფრთხილათ შეიძლება.

— „წყალი არსად ჩანდა, არ მინდოდა გარშემო  
 მოვლა და ძალიან ფრთხილათ დავიწეე გასულა ტბა-  
 ზე. მაგრამ უცბათ თავით ჩავვარდი წყალში.

— ჩემი ხსნა არ იქნებოდა, რადგან წყალი ძალიან  
 ღრმა გამოდგა და ხელის მოსაკიდებელი არაფერი



ჩანდა. ჩემ ბედსე ორმო, ანუ როგორც ეძახიან ფანჯარა, სადაც ჩავარდი ვიწრო კამოდვა. როდესაც ვარდებოდი თოფი კასწკრივ მეჭირა და ამან შემიკავა, მას დავებჯინე და ამოვეყავი თავი მადლა. მაგრამ თოფი ვერ მიკავებდა და მე სულ ძირს და ძირს მივდიოდი. მაძინ, რაც მალა და ღონე მქონდა, ორმოდან ნახევრათ ამოვედი და ხავს და ბალახს მოვეჭიდე, ასე დავახწიე ცოცხლათ თავი. ჩემი თოფი კი წყალმა ჩასძირა.“

— ფანჯარას რომ ეძახიან ეს რა არის? ჭკითხა კოწიკო.

— იმ ადგილს, რომელსედაც ბალახი არ ამოდის — წყალი ძალიან ღრმან, და თუ წყალი ძალიან ძღვრიე არ არის თითქოს ფანჯარადან ისე მოჩანსო. საძიში არ არის რა. მაგრამ მე რომ ჩავარდი, შემოდან მომწვანო შლამი იყო გადაფარებული და ვერა შევატყე რა.

— რა საძიში ყოფილა, თქვა კოწიკო.

— ნუ გეძინიან, აქ არ არის მაგნაირი ტბები. აქ კაი სანადირო ჭაობებია და ჩვენ არაფერი დაგვემართება ახლა დავჩუბდეთ, ნუ დაივიწყებ რომ ჩვენ მონადირენი ვართ, ნულარ ვილანარაკებთ. უეურო, დიანკამ კიდევ დაიწყო ძებნა.

ლამაზი, მოწითანო დიანკა, აბრეშუმივით გრძელი ბალახით, მოგრძო ყურებით, ბანჯკვლიანი კუდით ძირბოდა ჩვენ წინ. მოუსვენრათ ეცემოდა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ და ხან წინ იწყოდა. ბრეკვებს დასჩერებოდა, ჭაერს სუნავდა. ხან და ხან შედ-

კებოდა, გაუბედავით შესედავდა თავის ჰატრონს. ისიც ხელს უქნევდა. მაშინ დამძვიდებული ისევ გარბოდა, ეძებდა, თვალებს აფეთებდა. შერე უცბათ შედგა, გაუბედავით გაიეურა, თავი ძაღლა აიწია, ჰაერს დაუწყო სუნჯა. ბოლოს მოუბრუნდა თავის ჰატრონს და უფრო ნელის ნაბიჯით ფრთხილათ გასწია.

— უეურე, უეურე! უთხრა მამამ კოწოს, — ნადირს მიაგნო, ჰირ და ჰირ იქ მივეყვართ.

ძაღლი წამს შედგა, გატვრინდა, ცალი უფხი ძაღლა აიღო, კისერი წინ წაიწია. ჰატრონმა ფხი აუჩქარა. კოწო ძლივ—ძლიობით მისდევდა. დიანკა ფრინველს უკვე თავს ადგა, უდარჯებდა, ელოდა ჰატრონის ბრძანებას. ძაღლი ქვის სვეტივით უძრავათ იდგა.

— აბა, ვისვრი! თქვა კოწოს მამამ და ძაღლს მიუახლოვდა.

დიანკამ გაიბინა, მის ცხვირთან გამოფრინდა ფრინველი, ამ დროს თოფიც გავარდა. როდესაც კვამლი ვაიფანტა გამოჩნდა დაკოდილი ფრინველი, რომელიც ჰაერში გადატრიალდა და ძირს დაეცა. დიანკა გამალებული შესცქეროდა. ფრინველი ბუჩქებში მიიძალა.

— მომიტანე! უბრძანა ჰატრონმა.

დიანკა სწრაფათ გამოუდგა თავის მსხვესპლს და ერთი წამის შემდეგ—ისევ გამოჩნდა. ამჟებამდე ეძებდა, კბილებში დიდი სიფრთხილით ეჭირა მოკ-

ლული ტუის ქათამი. მიუახლოვდა თავის ჰატრონს, შედგა მის წინ. თვალებში შეხედა.

— აბა შეეცადე. იქნება ეგ ნანადირევი გამოართვა, უთხრა მამამ შკილს.

კოწომ გაუშვირა ხელი გამოსართმევათ. დიანკამ, თუძცა უძაწვილი ძალაან უუვარდა, დაუღრინა, თან თავის ჰატრონს თვალს არ ამორებდა.

— არ გეკონოს რომ მოგვეს, თქვა მამამ და ძაღლს თვითონ ჰირიდან გამოაცალა ფრინველი. — ჩემს კარდა არავის არ მისცემს. — რა კარგია ეს ჩემი ძაღლი!

ჰატრონმა ძაღლს ალერსიანათ თავსე ხელი გადაუსვა და კუხატი მისცა. დიანკამ ერთ ქლუპათ გადასინსლა და ძაღლობის ნიშნათ კუდი გაიქნია.

ესენი დიდხანს დადიოდენ ჭაობებში. კოწოს მამამ ბეჭრი ფრინველი მოჰკვლა, მარჯვე მსროლელი იყო. ზოგჯერ მოხდებოდა რომ დაკოდილი ფრინველი წვალში ჩავარდებოდა და მდინარიდან დიანკას მაძინვე ამოჰკვავდა.

დადალულნი და ღონე მისდილნი ჩვენი მონადირენი აბგა სავესე ფრინველით მიუახლოვდენ ტუის ძცველის ქოხს. იქ საუხბე ელოდთ, ძადიანათ შეჭამეს კუხატები და ჩაი დალიეს. მამამ კოწოს კიდევ ერთი ამბავიც უამბო:

„ერთხელ ქალაქიდან მოვიდა ჩემთან ერთი ნაცნობი სახადიროთ. მე დრო არა მქონდა, რომ წაველოდი. მას ძაღლი არა ჰქვავდა. ჩამაცვივდა: მომეცი



დიანკა სანადიროთო. — კარგი, ვუთხარი მე, ძაღლს არ დაგიჭერ, იცით კი სწოლა? უეურეთ, ძარჯვეთ განსროლეთ, თორემ თუ ძაღლი ნახავს, რომ ძარჯვე მსროლელი არ ხართ — აღბრაფერს არ დაგიჯერებთ.

„ვიცინეთ ბევრი ის მანც წავიდა სანადიროთ. ასე, სამი საათის შემდეგ ვხედავ — მორბის ჩემი დიანკა კუდ ამომუებული, მაშინვე ჩემ საწოლ ოთახში შევარდა.“

— „გავიფიქრე, ნეტავი თუ რა მოხდა? ფრინველის მაგიერ ჩემმა მონადირემ მაგას ხომ არ ესროლა? დაუძახე: „დიანკა!“ გამომგრა საწოლ ქვეშიდან. ვხედავ, ძაღლი საშინლათ მოწეენილია. არ შეკარება, თითქოს ვაწეენინე. ჰატარა ხანს შემდეგ მობაჯბაჯებს ჩემი მონადირე, აბგა ცარიელი, ოფლში გაწეწული, გაჯავრებული. დიანკასე ნაკლებ არ იყო ნაწეენი. „— აბა, შენმა ნაქებმა ძაღლმა რა ქნა“ რა შეთქი? ის რომ გამეცა! ჭაობებში ტეუილათ ვიხეტიალე, ფეხები დავისველე...“

„რა ამბავია, ვიფიქრე? დიანკა თავის დღეში არ გამოქცეულა ნადირობიდან. მერე ჩვენმა არსენამ მიაბო რაც მოხდა. დიანკამ უპოვა, გამოუგდო ფრინველი, მოაწეო ეველაფერი. მონადირემ — ბაც! განსროლა. დიანკა ხედავს, რომ ფრინველს არ მოხვდა. ის ხელ-ახლა პოულობს სხვა ფრინველს, უწეობს საქმეს, მონადირემ ხელ-ახლა განსროლა თოფი...“

ფრინველი თავისუფლათ აფრინდა, ასე ხუთჯერ მანც მოხდა. მაშინ დიანკა მიუახლოვდა მონადირეს,

ზისდით შეხედა მას პირდაპირ თვალებში და შურ-  
დულივით გამოეჩანა სახლისაკენ მონადირე თურმე  
ბევრს უგვიროდა, მაგრამ ვერა გააწეორა, ისე გა-  
მორბოდა, რომ უკან არ მიაუსვდია. მეორე დღეს მონა-  
დირეს ხელ-ახლა უნდოდა მისი წაეყვანა, მაგრამ ის  
არ წაჰყვებოდა. შეძურა ტახტ ქვეშ და მოიძკვდარუნა თავი.

«მან მხოლოდ ლაპარაკი არ იცის, დაამთავრა  
ეს ამბავი მოჯამაკირე არსებამ, — თორემ ადამიანსე  
ნაკლებათ არ ესმის ეგვილაფერი.»


ან. წერეთლისა.

(შემდეგი იქნება)



## ბ ა ბ ლ ი.

(დასასრული)



დესასწაულები დასრულდა. ნათლიალების მეორე დღეს ბაბლის დედა კვლავ გაკვეთილებზე წასასვლელათ მოემხდა, მაგრამ ბაბლი კი მარტო აღარ დასტოვა.

— აი შენც გაკვეთილებზე წავიყვან და მარტო აღარ იქნები, ეუბნებოდა ანიკო ბაბლის და თან

ხუჭუჭ თმებს მაკრა, მაკრა უწნავდა და ლურჯი ლენტით უნასკვამდა, რომ კვლავ არ გასწეწოდა.

— ახლა იქ უნდა ვიჯდე და ჰიანინოს ტაკატუკი გავიკონო?! შეპუვირო ბაბლიმ და ის იყო სატირლათ მოემხდა, რომ დედამ დაამძვიდა:— არა, გენაცვალე, ჰემ გაკვეთილებზე კი არა, შენსაზე. შენ დღეიდან იული საბაჰმო ბაღში, სადაც შენ თვითონ მოგცემენ გაკვეთილებს, და თან ახალი ლურჯი კაბა კადაცვა გოგონას, ფეხებზე ლურჯი თბილი ჰაჭიჭები ჩააცვა, თავზე თბილი შალი მოახვია და ორივენი საჩქაროთ გავიდენ სახლიდან.

— „საბაჟმო ბაღი“ ფიქრობდა კზა და კზა ბაბ-  
 ლი:— სამთარძი ნეტა თუ როგორი ხეებია, ვაძლები  
 ესნძის? ბუჩქებს ევაჟილები თუ აქვს? ევაჟილები?  
 უცებ შეეკითხა ბაბლი დედას. ანიკოს კუდიანათ გა-  
 ეცინა და უთხრა:— მე არ ვიცი! შენ თვითონ ნახავ და მე-  
 რე მე მიამბე.

ამ ლაპარაკში დედა-შვილი მიუახლოვდნენ გან-  
 ძარტოვებულათ მდგარ დიდ სახლს და გაღებულ  
 ალაფაფის კარებით ესოში შევიდნენ.

ესოს კარების ჰიზდაჰირ კედელზე ფიცარი იყო  
 მიკრული და ზედ დიდი ასოებით ეწერა „საბაჟმო  
 ბაღი.“

— „ბაღი“ სად არის? კვლავ შეეკითხა ბაბლი  
 დედას.

— მოიცა, მოიცა, მიუგო დედამ და ფართე შე-  
 სავალ ოთახში შეიყვანა, სადაც ბაღლების პალტო-ქუ-  
 დები ეკიდა და სუფთად ჩაცმულმა მოსამსახურე ქა-  
 ლმა ამათაც პალტოები ჩამოართვა და დასაკიდზე  
 ჩამოჰკიდა. შერე დიდი დარბაზის კარი გაუღო. იქ  
 შუა ხნის მანდილოსანი მოეკება დედა შვილს და  
 ტკბილის დიმილით სახეზე, ხელი ჩამოართვა პატარ-  
 რას და უთხრა გამარჯობა, პატარა სტუმარო! კეთი-  
 ლი იყუეს შენი აქ მოსვლა.

ჯერ ბაბლის დედას ორი სიტყვაც არ ეთქვა  
 დიასახლისისთვის, რომ ოთახის კარი გაიღო და  
 ახლა სხვა დედა შემოვიდა თავისი პატარა გოგონა-  
 თი, რომელსაც ხელში თითქმის თავისოდგნა ლამა-  
 ზი დედოფალი ეჭირა.

ახალ მოსულთ და ბაბლის დედა ნაცნობები აღ-  
 მოხდენ, ბავშვებიც ერთმანერთს კააცნეს.

— აი ჩემო ანო, შენი ამხანაგი იუეეს, მეგობ-  
 რები იუავით, დედოფალსაც ერთად მოუარეთ! ალერ-  
 სით უთხრა ანოს დედამ ბაბლის და აკოცა.

— ჩემი დედოფალი თვალებს ხუჭავს, როდესაც  
 დასაძინებლათ ვაწვევს. თამამათ უთხრა ანომ ახალ  
 მეგობარს, რომელიც მობუსული დედის კალთას ეკრა  
 და ქვემ-ქვემ გამოიუერებოდა.

— შენ კი არა გუაგს დედოფალი?

— სამიცა ძეაგს, ძაგრამ სულ ჰატარებია და  
 ანოს მორთულ დედოფალს შურის თვალთ კადახედა  
 ბაბლიმ.

— გინდა აიუვანე? გაუწოდა ანომ ბაბლის დე-  
 დოფალი— შენიც მოიუვანე ხვალ და თუ ძლიერ ჰა-  
 ტარა, ჩემი „ღაღის“ შვილი იყოს.

ბაბლიმ მოწიწებით აიღო ხელში ატლასის კა-  
 ბით და არძიანი ქუდით მორთული დედოფალი და  
 დიდხანს ათვლიერბ იმის ლამაზი წინდა-ფეხსაცმე-  
 ლი. დედის წასვლა ვერც კი შენიშნა.

— ახლა კი «კლასში» წავიდეთ, უთხრა ემაწვი-  
 ლებს დიასახლისმა და ხელი ხელ ჩაკიდებული გო-  
 კონები შეიუვანა მეორე ლამაზ და ნათელ ოთახში,  
 რომლის შუა კულის დიდი, განიერი ხის მაგიდა იდგა  
 და კარძემო შემომსდარი ბაღლები მაკრატლებით  
 სჭრიდენ სხვა და სხვა ფერ ქაღალდებს. ანო და ბა-  
 ბლიც მაგიდასთან დასხეს, ჰატარა დაბალ სკამებზე



და ძაგრატელი და ქაღალდები ძისცეს. მასწავლებელი ქალი უჩვენებდა როგორ დაჭრათ და ზოლ-ზოლათ დაჭრილ ქაღალდებით აკეთებინებდა სათამაშო კალათებს, ნოსებს, ლასტებს. თეთრ ქაღალდზე სხვა და სხვა ფერ ხილივით გამოჭრილს ქაღალდს აკრავდნენ გუმიარაბიკით.

— აბა, ბაბლი, ეს რა ხილია? ჰკითხა მასწავლებელმა ნინომ და წინ მეზობელი ამხანაგის გამოჭრილი და თეთრ ქაღალდზე დაკრული გვერდ-წითელი ვაშლი უჩვენა.

— ვაშლი, ვაშლი! გაიცინა ბაბლიმ და თვითონაც შეეცადა მასწავლებლის მოხაზული მწვანე ქაღალდის მსხალი გამოეჭრა და თეთრ ქაღალდზე გაეკრა. ამხსობაში ზარიც დაირეკა და ბავშვები აიშალენ. ეველანი გარს შემოკრტვენ ბაბლის და ანოს, რომელნიც ხელი ხელ ჩაკიდებულნი იდგენ და ახლოს არავის ეკარებოდნენ.

— რას განერებულხართ, ზაწაწებო? მხიარულათ მტეგვირა აღძრდელმა ნინომ; ხელი წაავლო ორივეს და დიდ ოთახში გაარბენენა. იქ უკვე ბაბლები თავისუფლათ დარბოდნენ, თამაშობდნენ, ბურთს აგორებდნენ. ნინომ საჩქაროთ ფერხული გამართა და სუეველა ბავში შიგ ჩააბა და სიმღერა-კიჟინით დატრიალდა, და ისინიც დაატრიალბა, აამღერბ. კვლავ ზარის რეკა მოისმა და ბაბლები კლასში გაიქცენ. ამ ხელად ზატარა თითბრის ფარებით სხვა მასწავლებელი ქალი— ელო, ანგარიშს ახწავლიდა და ისეთის

ხალისით და მარტივად, რომ ეველანი და მათ მო-  
 რის ბაბლი და ანოც კატაცებით გაერთიან და დრო  
 შეუძინებლათ გაზიდა.

ეველამ ისაუბრა. საუხშის შემდეგ მასწავლებელ-  
 მა ფორტეპიანოსე ლეკური დაუკრა, ბავშვები ერთად  
 შეიკრიბენ, მუსიკას ტაში ახელოეს და გაიმართა  
 ღზინი. ბაღლები წყვედდენ ხალისით და მხიარულათ.  
 თუძვა დიდი ხნის თხოვნის და ბევრი პრანჭვის შემ-  
 დგე, ანო და ბაბლიც დაპროწიადდენ და პატარა ხე-  
 ლები ლამაზათ ჩაკვანწეს. სამის ნახევარზე, როცა  
 ბაბლის დედა მოვიდა იმის წასაუვანათ, ბაბლი ისე-  
 თის სიხარულით შეეგება მას რომ დედა გაკვირვებ-  
 ბული დარჩა.

— კბეოფილი ხარ, კეთაუვანე? მოგეწონა «სა-  
 ემაწვილო ბაღი», მეგობრები გაიხინე?

— ოჰ! დედა, რა კარგია, რა კარგია! რომ იცო-  
 დე, რამდენი ვითამაშეთ, რამდენი რამ გავაკეთეთ! აი  
 ნახე: და ბაბლიმ იმ პატარა კალათიდან, რომელში-  
 აც დილას დედამ საუხშე ჩაუღება, ამოაღება და აღ-  
 ტაცებით უჩვენა თავის ნამუშევარი მწვანე მსხალი  
 თეთრ ქაღალდზე დაკრული. წითელი და მწვანე ზო-  
 ლებით ჩახლართული ჟედოფლების ნოხი. თავის გა-  
 კეთებული წითელი თინის პატარა ჯამი.

— ხვალაც მოხვალ? კვითხებოდა დედა ბაბლის  
 კვასე და ის მხიარულათ და სტუნაობით უმასუხებდა:

— მაშ, მაშ! ანოს ჩემი ჟედოფლები უნდა მო-  
 ვუვანო. ამხანაგმა გოგლიმ თავის დიდი ბურთი

უნდა მოიტანოს. კატუნამ ჰატარა კალიასკა და სუ-  
ეკელამ, დასვენების დროს, უნდა ერთად ვითამაშოთ  
დიდ დარბაზში. დედოფლები კალიასკით უნდა ვასე-  
იწნოთ.

ძერე მასწავლებელი ნინო სასეიწნოთ წაგვი-  
ყვანს ქალაქის ბაღში, იქ „კომნასტიკას“ ვითამა-  
შებთ. ძენ იცი, დედა, რა არის „კომნასტიკა“? ანიკო  
აღტაცებული იყო თავისი ბაღლის სისარულით და  
ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ მარტოობით გა-  
ოგნებულ ბავშვს ასეთი ბედნიერი თავშესაფარი აძლ-  
უხნდა.

ეკ. გაბაშვილი.



## ზღაპარი ერთ ღია ბარათზე.

(შვედური)



ს იყო ჩვეულებრივი ღია წერილი:  
 „ჩემო ძვირფასო და საყვარელო  
 შვილო! შენი წერილის რამოდენიმე  
 სტრიქონმა კვლავ ძლიერ გამახარა  
 და მაცნობა, რომ შენ ისევ ჯან-  
 მთელათ და უვნებლათ ხარ, ჩემო  
 ერთად ერთო! რომ შენ ისევ ისა  
 ხარ, რომლის სახეს ომში წასვლის წინ ნათელი  
 ეფინა; იმავე შეუკავებელი, მხიარული სიცხლით ეოვე-  
 ლივე გაჭირვების მოთმინებით ამტანი. ამ ჰწკარებმა  
 დამიბრუნეს მე შენი გაზაფხულისებური ღიმილი.  
 ეოველ დღე ვთხოვ ღმერთს შენს კარგათ ეოფნას.  
 კეოცნი ურიცხვს და გთხოვ სმირად მოსწერო წერი-  
 ლი შენს მიტოვებულ დედას.“

ასეთი იყო ომში გაგზავნილი ღია წერილის  
 მინაარსი. ეველა იმ გრძნობას შეიცავდა ეს ღია ბა-  
 რათი, რა გრძნობებითაც იყო აღსავსე დედის გული  
 და სული.

ეუთმი ჩავდების დროს ღია წერილი ათროლ-  
 და: შეიძლება მას დედის ხელის თროლოვა გადაე-  
 ვა, ეუთმი რომ ავდებდა. ამის შემდეგ დაიწყო დაუს-  
 რულებელი ბნელი გზა; ბნელი მიტომ, რომ ღია

წერილი დაემწვედით დახურულ ვაკონში, სადაც ძრავალი წერილი განუგრეღ მეკობრებივით ჩასუტებულყო. მატარებელი გაჩერდა და ჩვენმა ღია წერილმა სრულიად უცხო და შორეულ ქვეყანაში იგრძნო თავი; ის მოუთმენლათ ელოდა ვაკონის კარების გაღებას და თავისთვის ნელა ბუტბუტებდა: „მოთმინება, მოთმინება“. ბოლოს ის განთავისუფლდა და თავისი გზით გაეშურა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, როგორ ზანტათ! მას რომ ფრთები ჰქონოდა ასე ნელა არ შეუდგებოდა გზას ბებერსა და უძლეურ ლანდით მიხტის ჩანთაში; არც გზა იყო მხიარული: განუწვევებელი გრუსუნობდენ ზარბაზნები, კარემპო-უველაფერი სუსუნობდა და ჟრიალობდა. ღია ბარათი მხათ იყო მინ დაბრუნებულყო, მაგრამ სძლია ყოველივე დაბრკოლებას, რათა სინიღისიერათ ავსრულდება თავისი დანიშნულება.

ამხიარათ თხრილებსაც მიაღწია; აქ ღია წერილმა თავისუფლათ ამოიხუნემა; თითქოს ზარბაზნების გრიბლიც ცოტათი მინელდა. ღია ბარათი მიზანთან ახლოს იყო. ნელის სძით ამცნო მან არე-მარეს ის სასელი, რომელსაც თვითონ ზურგით აჭარებდა. ბოლოს თანდათან ხმას უმატა; მაგრამ ყოველგან სიჩუმი იყო, აღმაშფოთებელი სიჩუმი! ძახილსე არავინ უპასუხებდა; ზოგი კაკვირვებით მხრებს წვედა, ზოგიც უარის ნიშნათ თავს აქნევდა. მაშინ ღია ბარათი მიძმა შეიპერო; ამ წამში მან იგრძნო მისთვის უგემ-ნაცნობი თრთოლვა და ძალა-გამოღეულმა გასწია

დაჭრილების სადგომისკენ. გზასე ათასჯერ იმეორებდა მისთვის საჭირო სახელს.

ღია ბარათი უკვე დაჭრილების სადგომშია, სადაც ბევრ ხალხს მოუერთა თავი: სოკი თავშესხვეული მოხრილი სის, სოკი ჰანჯიროს ეწევა და სოკიც კიდევ საკაცესე დაუწვენიათ. ბევრ იმათგანს უბრაჯით დაუუარაჲს გაევითლებული, მკრთალი სახე. ღია ბარათი ეგელას მიუახლოვდა და თითო-თითოდ ეკელა დაათვალიერა. თავისი ეტკეების გასაფანტავათ ის ცდილობდა ეოველ სიამში აღმოეჩინა ნაცნობი სახელი.

ღამეა. ხან აქ, ხან იქ ისმის თოფების გრილი, ხან აქ, ხან იქ მოისმის ხმაურობა და ისევ სამარისებური სიჩუმე. მაშინ ღია ბარათმა მოიკრიფა უკანასკნელი ძალ-ღონე და გაშლილ მინდორებისკენ გასწია, სადაც თხრილები ეკულებოდა. ის კვლავ ეძებდა.

— ვერაფერს ხედავ? მოისმა ვიღაცას ხმა იმ ადგილიდან, სადაც ორი მხვერავი იწვა.

— სად?!..

— იქ, შორს.

— არა, შენ მოგეჩვენა.

— მე მართლს ვამბობ, გაიხედე იქით.


— საით, ვერაფერს ვხედავ.

— აი იქ, წინართ რომ გვიახლოვდება გაშლილ მინდორზე—გული, მკსნებარე გული; ნუ თუ არ გაქმის უვირილი? აი ტირის კიდეც...

— უბედურო, მოისმა მეორე ხმა, ბოდავ, წადი დაიძინე და შენს ნაცვლათ სხვა გამოგხვანე.

დია ბარათი უკან დაბრუნდა. რა დაუსრულებელი იყო ეს ბნელი დამე და კვა. ბოლოს მან მი-  
აღწია იმ სახლს, საიდანაც გამოვიდა. მითქოს ტყვე-  
ები ჭქონდა ფეხებზე, ისე უძძიდა მას კიბეზე ასვლა.  
დედამ კარნი კანდო... და იცნო. გაფითრდა. უხმოთ  
ჭკითხა. "უკხო-უკვლოთ დიკარვა", გადაჭრით უმა-  
სუსა დია ბარათმა და ატირდა.

თამრიკო ხუნდაძის ქალი.



## უნებური ზვარაკი.



მერთო, შენი მადლის ჭირბე,  
შენს სასეღს ვენაცვალე, ოღონდ  
კი ესლა კარგად იეოს, ოღონდ  
კი ესლა არაფერი მოუვიდეს და  
თუ გინდ მე მომკალ! ღმერთო  
და სარკის წმინდა გიორგი...

ვაიმე, რაღა ვქნა, რაღა წუალში ჩა-  
ვარდე, ეს რა მომივიდა მე მიწა და-  
საფრეღს, ეს რა ვქენი, თქვენი ჭი-  
რიმეთ... წმინდა გიორგი, შენ მადლს ვევედრები,  
შენ არ იეაგი რომ მამა მომიწინე; ოღონდ ესლა  
ჰატარა გოგიაც მოარჩინე და სუღ მუღამ შენი მონა  
ვიქნები, რომ გავისრღები არ გავთხოვღები, მოლო-  
წნად წაგალ და სუღ ვილოცებ, ოღონდ ესლა ის  
მოარჩინე.

ასე ლოცულობდა სამსარეუღოს ერთ-ერთ კუთ-  
სეში ჰატარა გოგო და მეტი სასოებით და ძწუხა-  
რებით კუღსე სეღებ მიბჯენიღი და თმა გაწეწიღი  
მეჭვარტლუღ კეღღის ქეღებს ისუთი თვალებით შეს-  
ცქეროღა, მათ რომ გრმნობა ჰქონოღათ, გამწარეზუღ  
ბაგუს უსათოუღღ შეეღას მოუვღინებღენ.



ამ დროს მეორე ოთახიდან ბავშვის გულ-გახსაკ-  
შირი ტირილი მოისმოდა და ეს იყო მიხეხი, რომ  
გოგოს ბავშვის გაუთავებელ ტირილზე უფრო ცუცხლი  
ეკიდებოდა. თუ ტირილით მოღლილი ბავში ოდნავ  
გაუჩინებოდა, მთლათ სძენათ ქცეულ გოგოს სინა-  
რულით თვალები უდიდებოდა და ჰირსეისეთი დი-  
შილი ეხატებოდა, რომ სუნთქვა დაკავებული იმ წამს  
ქანდაკებას უფრო მიაგაფდა, ვიდრე ცოცხალ არსებას.  
მოისმოდა თუ არა ხელ-ახლად ტირილი ისიც უცებ  
დაიღრჩხებოდა და მდულარება გადმოდენილი ღაღა-  
დით გაიძახოდა:

— ვაიჰე, ვაი, რად ვაჭამე რათა! ნეტავი ფეხები  
დამძიწებოდა და ზვარში არ შევსულიყავ, ოი, ოხრათ  
დარჩეს ის ტყემალიცა და ის საათიც, როცა დე-  
დამ გოგოთ აქ მომიყვანა: ნეტავი მოკედე და მე სხვა  
არა მინდა რა; რომ გამიგონ რაღა ვქნა?!—თავ-პირ  
იღოჭაჟდა გოგო და თან გამეტებით გულში ხელს  
იცემდა.

სახლში კი ამ დროს სხვა ამბავი ხდებოდა. იქ  
უკვლას თავი ერთი ბავშვის გარშემო მოეყარათ და  
დაფორიაქებულთ აღარ იცოდენ რა ექმნათ. ბავში კი  
მართლაც ძლიერ ავაღ იყო, მას ზოგჯერ ტკივილი  
რომ წამოუფლიდა—ისე საშინლათ იკლავებოდა და  
ისე ღურჯდებოდა, რომ უკვლას შიშის ზარს სცემდა.  
იმ წამ ზოგი წყალს მოარბენინებდა, ზოგი რიდას-  
თვისაც კარეთ გარბოდა, დიდება უფრო დამტებარი  
კილოთი ბავშვს ისე დაბეჯითებით ეაღერ-

სებოდა, თითქოს ალერსი გაჰკურნავდა. ჰატარა დები  
 კი მეორე ოთახში წელის კასაცხელებლათ ქვაბს ისე  
 ბევრს უკეთებდენ და ისე ძლიერ უბერავდენ, რომ  
 თავბრუ დახვეულთ ბუსრის წინ მთვრალელებით რატ-  
 რატი გაუდიოდათ. ბებერი ჰანა კი მსკიდისთან სა-  
 ცოდავათ მობუსულიყო და ბავში რომ ტირილს უმა-  
 ტებდა ის მძიმეთ თავს აქნევდა და ჩუმათ გაიძახოდა:

— ვაიძე, ვაიძე, რა დაემართა ამ ბავშვს, რა მე-  
 ძველებს, რითი უძველო.

ერთი სიტყვით სახლში დიდი აურ-საური დატრიალ-  
 და, ეველა გოდებას და ხალხებს მ უცა, გარდა ერთი  
 არსებისა, რომელიც ამ წამს კიბეზე ისეთი ძღერით  
 მოდიოდა, იტყოდით ქვეყანა ამას დარჩენაო. ეს არ-  
 სება გოგიას კოჭლი წიწილა გასკდათ.

მიუხედავთ იმისი, რომ მოტყენილ ფეხსე უძვე-  
 ლებელი ტალახი ბურთივით რგვლათ აჰკროდა და  
 ამის გამო დიდი საცოდავობით ძლივს მოჩლახუნებდა,  
 ის მაინც ისე გულინათ გალობდა, თითქოს ბუსიც  
 კი არ აჰფრენიაო. ის კი არა თუ სულ რამდენიმე დღე  
 იყო, რომ ის უბედურებას ძლივს გადაურჩა. ღმერთმა  
 დაიფაროს, რომ ისეთი უბედურება თავს არავის და-  
 ატედეს. წარმოიდგინეთ, ამ ხუთიოდი დღის წინაღ  
 ეს კვირი "წიწრიკო" ვენახის ბოლოში თავმოქო-  
 ნედ დასეირნობდა და სიძღერითვე ახლათ დაბარულ  
 ხსულებში ჭია-ღუას კენკავდა. უცებ მან ცოტა შე-  
 მოთ დანდურის ღეროს მკხავს სორბა ჭიანჭველას  
 მოჰკრა თვალი და დაინახა თუ არა თავ-პირის ძტვერ-

ვით გაქანდა მისკენ. მაგრამ ამავე დროს იმასაც თურ-  
 ძე საბძელზე ძჯდომი ქურდი კაჭკაჭი გაფაციცებით  
 თვალს ადევნებდა და იმასაც იდროვა თუ არა—შურ-  
 დულივით გაქანებულიყო და თავს დასცემოდა. რო-  
 გორც ბუძბული წიალ წიალით ზეცისკენ ისე გაქა-  
 ნებინა. მის წივილზე ბავშები სახლიდან გამოცვი-  
 ხულიყვენ, დაეწოთ ჭაე—ჭაეს მახილი, თან ლო-  
 დებიც მიეყოლებინათ და საწვალაი წიწილა ძლივს  
 გაეკლებინებინათ.

წიწილას გარდა იმისი, რომ ნისკარტი-  
 სვან ზურგი ჭქონდა დასახიჩრებული, ჩამო-  
 ვარდნის დროს ახლა ფეხიც მოსტეხოდა და ვაი  
 თქვენ მტერს, რომ ის გასაცოდავებული მოიყვანეს  
 სახლში. მოძაკვდავს დიდი აძბით შეუსვიეს ფეხი,  
 დაუევავეს, მოუაღერეს, მაგრამ ბავშების განცვი-  
 ფრებას სახლვარი აღარა ჭქონდა როდესაც მის გა-  
 სამხნევებლათ შემოთავაზებულ ნაკაპს წიწილა გა-  
 ცხარებული მივარდა და კენკა დაუწყო.

— უიძე, დედიჯან, ეს რა ღორი ყოფილა, თქვე-  
 ნი ჭირიძე, სიკვდილის ჰირზეა მივარდნილი და მ-  
 ინცა სჭამს, აი დასწეველოს ღმერთმა, ეს რა ყოფი-  
 ლა... გაიძახოდენ გაკვირვებული ბავშები და ვინ  
 აცის რას არ იკონებდენ, რომ წიწილასათვის თ-  
 ვიანთი თანაგრძობა და გულს ტკივილი დაემტკი-  
 ცებინათ.

ერთი სიტყვით იმ ორიოდ დღეს დიდ აძბავში  
 იყვნენ ბავშებიცა და წიწილაც. წიწილა იმიტომ რომ

ხელით საგოგმანებელ კძირად ძეიქმნა, ასე განსიჯეთ  
რბილ სმვარძელზე დაუდეს ბინა; იქ აჭმევდნენ და  
იქ ასძმევდნენ. ბავშვები კი იმიტომ რომ საზრუნავი  
გამოუჩნდათ და ეველა გადაძეტებით უაღერსებდა  
და თავს ევლებოდა.

წიწილა იმ ლოლიაობას ისე შეეჩვია, რომ  
რამდენიმე დღის შემდეგ, როცა კარგათ მოძჯობინდა  
და უძფროსების ძალ დატანებით ის ისევ ბოსნელში  
კრუსთან ჩამობრძანეს, ის დედასთან აღარ დგებოდა  
და სად იყო სად არა, კიბეზე რის ვაივაგლანით  
ამოხლანხუნდებოდა და როგორც კაი ოჯახის წევრი  
ეველა ოთახებს ისე მიივლ-მოივლიდა. გან წვეტ-  
ლივ წიწინებდა და ძღეროდა, სხვათა შორის სიმღე-  
რა ძას იმ უბედურ დღის შემდეგ დასწემდა, რაც კაჭ-  
კაჭმა ძზე და მოვარე ძაღლიდან დაანახვა.

ბავშვები კი იძახოდნენ—ეს აღბად დმერთს საგა-  
ლობელს უძღერის, რომ სიცოცხლე შეანარჩუნაო.

ჰო, და ესლაც, როცა სახლში დიდი აურ-ზაუ-  
რი იდგა კიბეზე ამობრძანებულმა წიწილამ სიმღე-  
რით და დაგორგოლავებულ ტალახის რაკუნით ჯერ  
აივანზე აიარ ჩაიარა, შემდეგ ოთახში ისეთი თავა-  
ზიანათ შემობრძანდა, თითქოს ბარათით ბრძანებუ-  
ლიყო დაპატიჟებული. შემოყო თუ არა კარებში თა-  
ვი და იატაკზე რომ ხმა ძაღლა აარაკუნა ტალახი  
— უწინ ბავშვებმა მიაქციეს ურადღება და გახარე-  
ბულებმა მტირალ ბავშვს დაევაგებით მიძარტეს.

— აკერ, დაინახე შენი ჰაწია ჯუჯულა, შესე  
ფეხზე რა აკვრია, შესედე, შესედე, გენაცვალა!!

ბავშმა შემოსულ წიწილას თვალი მოჰკრა, ცოტა ხნით გაუხდა და მიაშტერდა, შემდეგ მისკენ ხელი რომ გაიწვდინა და ამოდნავდა თითქოს კიდევ რაღაც ეტკინა და ისევ ტირილი მოართო.

ამ დროს პატარა მისმა დამ თინამ წიწილა დაიჭირა და ბავშვს სინარულით გაუწოდა:

— აბა, კენაცვალე გოგია დახედე, ეს უფრო ავად არ არის! აი, ამასაც ფუფუა როგორა სტკივა; უურე, უურე ტალახის ძმივი შეუბავს, დახედე, რა სასაცილოა!!

ბავშმა ძართლა ტირილი ისევ შესწევითა, ჯერ კარშემო ეველას ისე შესედა, თითქოს ნებართვას ჰკითხავდა, შემდეგ ხელი მეორედ წაატანა, თინას წიწილა ჩამოართვა და გულთან ისე მავრა მიიხუტა, რომ წიწილამ პირი დაადო. ეველას გაეხარდა, რომ ბავშვი წიწილით თითქოს გაერთო და ცოტა ხნით მანც გაუხდა, მაგრამ დიდდამ მანც ვერ მოითმინა და სვეწნით უთხრა:

— ეგრე ნუ უჭერ, შენ მენაცვალე, ცოდოა, მოგიკვდება შენი წიწრიკო!

ბავში ხელ ახლა დაიდრიჯა და სატირლათ გამხადებულმა პირი დაადო.

— არა, არა კენაცვალე, გულ გახეთქილებმა ბავშვის დადრეჯასე ეველამ ერთხმად წამოიძახეს, მხოლოდ მიძისავან უარესად მობღუნებულმა დიდდამ გაწრიოკებული ხმით ასე დაუეგავა:

— არა კენაცვალოს დიდედა, შენი ჭირის სა-

ნაცვლო იყოს, ოღონდ შენ ხურა დაგიძაუდება რა და რაც გინდა ის უეზვი. ბავშმა ძეორე ხელიც მიიძველა და წიწილას ეელში ისე მაგრა წაუჭირა, რომ წიწილამ ოღნაჟ და დაიწრიბინა და მეტი სიმწართ თვალებ დაჭყეტილმა და ენა გადმოვარდნილმა კისერი გვერდით მიიგდო. ცოტა ხნის შემდეგ, ესე იგი იმ დროს, როდესაც სლოკინად შეცვლილი ტირილი ბავშვს ჯერაც კი არ შეაწვევია, მას ძველარი წიწილა ხელში ისე ეჭირა და პირ მოდიმარი ეველას ისე უხვევებდა, თითქოს მისი ტკივილის მიზეზი ფეს მოტყესილი წიწილა ყოფილიყოს.

ვეელას სახეზე სინარულიც დიდი უკრთოდა, მაგრამ ეველასზე ბედნიერი კი ჰატარა გოგო იყო, რომელსაც ამ ეამს შეუმხნევლად სახლის კარები შემოელო, იქვე კარებში განხრებულიყო, ცრემლით საფხე თვალები მადლა აეპერო და მშესავით გაშუქებულ ტუხებს ოღნაჟ ჩურსულით ამომრავებდა:

— დმერთო, ზვარაკად შეიწირე ჩემი ნაამაკდარი ჰაწია წიწრიკო და შენმა მადლმა, რომ გავიზრდები ერკეძალსაც დაგიკლავო.

ჰაწია გოგოს ის უადრესი მწუხარება და სინარულიც არავის შეუმხნევია.

აქვიაო.





ქართული  
ბიბლიოთეკა



# ს ა ფ ე ი ქ რ ო უ ი .



ურთა სმენა აღარ არის,  
დგანდგარებენ მანქანები;  
დგანდგარებენ, გრიალებენ,  
ტრიალებენ თვალ-ბორბლები!

აქ ერთ წუთსაც შეუძლია  
დაფიქრება, დანადვლება;

აქ სიცოცხლის დუღილია,  
აქ მკვდარიც კი გაცოცხლდება!

ვისაც გული მძიმეთა აქვს,  
ვისაც ჯავრი ჰსურს გაიქროს,—  
ყური უგდოს ჩვენს სიმღერას,  
მოაშუროს საფეიქროს!..

გ. ქუჩიშვილი.





## † მიხეილ თუმანიშვილი.



ადლობისა და პატივისცემის გრძობით მოიგონა ქართველმა საზოგადოებამ მიხეილ თუმანიშვილი — მისი გარდაცვალების ასი წლის თავზე — 1918 წ.

მაისის 19. 43 წელი გავიდა მისი გარდაცვალების დღიდან. მაგრამ ნახევარმა საუკუნემ ვერ წაშალა იმისი ხსოვნა, ვისი გულიც სიცოცხლეში საზოგადო სიხარულით ხარობდა და საქვეყნო სატკივართი იყო დაწყულულებული.

მიხეილ თუმანიშვილი — ჩვენი „ჯეჯილის“ დამაარსებელისა და რედაქტორ-გამომცემელის ქ. ანასტასია თუმანიშვილის მამა — ნ. ბარათაშვილის ამხანაგი და თანამოკალმე იყო. სიკაბუკეში ქართველობის უკიდურესი გულგატეხილობისა და დაცემის მოწამე გახდა. იმ დროს დალია სული დამოუკიდებელ საქართველოს ოცნებამ; იმ დროს მოიკიღია ჩვენში საბოლოოთ ფეხი რუსეთის მართვა-გამგეობამ; იმ დროს იჩინა გარკვევით თავი ჩვენს ბრწყინვალე საზოგადოებაში ყოველივე მშობლიურის მივიწყების და უცხო სუფთების მძლავრმა მისწრაფებამ. მხოლოდ პირადი კმაყოფილება, სამსახურში დაწინაურება, ჩინი, ორდენი — იტაცებდა სულყველას. საზოგადო ქირ-ვარამი არავის აწუხებდა. ბატონ-ყმობის უღელ ქვეშ მგმინავი ქართველი გლეხობა — ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი — არავის ახსოვდა გარდუვალი უფსკრული იყო გარღვეული ხალხსა და ეგრეთ. წოდებულ „საზოგადოებას“ შუა.

თითქმის სამუდამოთ გაიყინა ცხოველი აზრი, ჩაიფერ-  
ფლა ყოველი საზოგადო გრძნობა, დაეწყებას მიეცა წარსუ-  
ლი, აღარ ციმციმებდა მომავლის ვარსკვლავი. იყო მხოლოდ  
აწმყო — სამარცხვინო და გულშემზარავი.

ამ დროს ჭაბუკი პოეტი ნ. ბარათაშვილი სწერს თავის  
ბიძას გ. ორბელიანს: „ლიტერატურა ჩვენი, ღვთით; დღითი  
დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი  
მოკლილნი სამსახურიდან, მყუდროებაში და მარტოობაში  
შეეწვიან მამეულის ენას, რაოდენიცა ძალუძთ“.

აი ამ ყმაწვილ კაცთა ჯგუფს ეკუთვნოდა სიჭაბუკეში მ.  
თუმანიშვილიც. ისიც სთარგმნიდა, სწერდა ლექსებს, ისიც მო-  
ნაწილე იყო იმ საქმის, რომელიც ნ. ბარათაშვილის აზრით  
მოწმობდა, რომ „ქართველთ არა სძინავთ გონებით“. ეს გო-  
ნებრივი სიფხიზლე იყო ერთად ერთი ნიშან-წყალი მაშინდელი  
ქართველების სიცოცხლისა. ამ დროიდან ჩნდებიან საქართვე-  
ლოს საზოგადოებრივ ცხოვრების დაცალიერებულ ასპარეზზე  
ობოლი მოღვაწეები. ისინი ჯერ-ჯერობით არ არიან მჭიდროთ  
შეკავშირებული ერთმანერთთან ერთი გარკვეული აზრით,  
ჯერ-ჯერობით არ წარმოადგენენ ჭეშმარიტ „საზოგადოებას“,  
მაგრამ მის დაბადებას ნიადაგს უმზადებენ.

მ. თუმანიშვილი, შთამომავალი ქართველ მეფეების მდივ-  
ნების და მსაჯულებისა, მწერლობის და საზოგადო მოღვაწეო-  
ბის თანდაყოლილი ნიჭით დაჯილდოებული, გულწრფელათ,  
ემსახურება ქართულ ლიტერატურის და კულტურის აღორძი-  
ნების საქმეს სიჭაბუკიდან სიკვდილამდის.

ყოველივე ქართული საზოგადო საქმის მონაწილეა ის.  
ქართული თეატრის დაარსებას და მოწყობას შევლის გ. ერის-  
თავს, მისივე თანამშრომლობით გამოდის ამ ხანებში პირველი  
ქართული ჟურნალი „ცისკარი“. ამ უსიცოცხლო ჟურნალს  
მ. თუმანიშვილი სულს უდგამს თავისი „სალაყბოს ფურცლე-  
ბით“. მოლაყბის სახელით ის მოურიდებლათ ჰკიცხავს ქარ-  
ველურ დაუდევრობას, სამშობლო ჭეყნის ბედისადმი გულ-  
გრილობას, სამშობლო ენის დაეწყებას. ამ დროს მ. თუმა-  
ნიშვილი ერთად ერთი ქართველია, რომელიც გაბედულათ  
ამხელს ქართველთ მათ ნაკლულევაებათ. ის ნამდვილი პატრიო-

ტია—შისი საშობლოსადმი სიყვარული მხოლოდ საქართველოს წარსულის ქება-დიდებაში არ იხატება—ის ქართველობის კულდს დასცინის, კრიტიკის მახვილით სურს ამ კულდის წარკვეთა და საზოგადოების გამოფხიზლება სამარცხვინო უმოძრაობისა და ძილისაგან. გარდა ამისა მ. თუმანიშვილი პირველი ქართველია, რომელმაც გაბედა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ ხმის ამოღება ისეთ დროს, როცა ამისათვის მას უსაშინელებსი დევნა ელოდა თავად-აზნაურებისაგან.

როგორც ჩვენი ქვეყნის ზედმიწევნით მცოდნე პირმა—მ. თუმანიშვილმა დაუფასებელი სამსახური გაუწია საქართველოში ბატონ-ყმობის მოსპობის საქმეს.


მრავალ მხრივი და ნაყოფიერი იყო მ. თუმანიშვილის მოღვაწეობა-სამწუხაროთ სიკვდილმა ადრე მოუღო ბოლო მის დაულალავ საქმიანობას. მ. თუმანიშვილი გარდაიცვალა 1875 წ. თებერვლის 2—56 წლისა.

ჩიტო.



# ს კ ა რ ტ ა კ ი

I.



ორეულია ეს ამბავი რასაც მოგი-  
თხრობთ. უნდა ჩვენს წელთ აღრიც-  
ხვას გავცილდეთ და ქრისტეს დაბა-  
დების წინა საუკუნოებში გადავიხე-  
ლოთ, მწვანეხვევრდის ქათიბით მორ-  
თულ შვიდ გორაკის მახლობლათ,  
სადაც დღესაც ამაყათ მოთამაშობს  
მრისხანე ტიბროსი. აი, აქ, ამ აღ-  
გილას გაქიმული იყო ქალაქთა

ქალაქი დიდებული რომი. მრავალ ცოცხალ ლეგენდებ-  
ის მნახველი ქალაქი დღესაც საკვირველებათა სავანეთ ითვ-  
ლება. ყოველი ნანგრევი, ყოველი კენჭი ტიბროსთან ერთად  
მოიმღერის ძველს დიდებასა, კეისართა და იმპერატორთა ლანდები  
ღმერთ-კაცებათ დაჰქრიან და უკვდავებას მიმოჰხაზვენ ხმალთა  
წვერებით.

სასტიკი ძლევამოსილი და მეტათ ზვიადი იყო ქვეყნიერე-  
ბის მბრძანებელი იმდროინდელი რომი, მაგრამ არა ნაკლებ  
ამაყი და უძლეველი გახლდათ თვით ხალხიც. დედა-მიწის ზურ-  
გზე არც ერთს სამეფოს არ შეეძლო გასძლიანებოდა მას.  
რომაელებმა მკვეთრი მახვილით მოიხვეჭეს აურებელი ქონება,  
სიმდიდრე, ამავე მახვილის წვერით აღბეჭდეს თავიანთი თავგა-  
დასავალი ფოლადის ფურცლიან ისტორიის კაზმულ რვეულში.  
რა სანახაობა წარიტაცებდა თვალს, როდესაც გამარჯვებულნი  
ბრუნდებოდნენ უცხო ქვეყნიდან! რომის ფართო ქუჩები სი-  
ცოცხლით სჩქეფდა. აღტაცებული ხალხის ტალღები ზღვისავეით  
ღელავდა. ქალაქს ჩირაღდნებით ანათებდა და ვარდ-ყვავილებით  
ჰფენდა იმ გზას, რომლითაც გამარჯვებული ლაშქარი უნდა  
შემოსულიყო. აგერ, გამოჩნდებოდა ოქროთი და გვირგვინე-  
ბით შემკული ეტლი მფრინავი მერნებით, რომლითაც მოჰ-


ქროდა დადაფნული და გამარჯვების სიამით დამთვრალი სარდალი. ხაღბის ვაშას და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. გამარჯვებული ამაყათ უმზერდა მათ. ბედის კამათელთა ამჟღერებელი ზეიადათ ფართოდ გაჭიმულ მკერდით მხოლოდ ამას აგრძნობინებდა მაყურებელთ, რომ თვით ეს აღტაცებაც საკმარისი ჯილდო არ იყო მის მამაცობის საფასურათ, ყოველივე ასეთი მისაღმება მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი ხარჯი იყო. სარდლის ეტლს უკან მოსდევდენ დაპყრობილ ქვეყნების მთვლე-გამგებელნი. შერცხვენილნი, სიცოცხლითვე სიკვდილს ზიარებულნი, გაფითრებული სახით, თავჩაღუნულნი მწარეთ მისჩერებოდენ მიწას, თითქოს იქ დაედებენ ხერგელს, რომ შიგ ჩამძვრალიყვენ ზედმეტ უპატიობისა და ბედის დაცინვის თავიდან ასაცილებლათ. შემდეგ მოჰქონდათ ძვირფასი ულოფა, ნადავლი, ოქრო და ვერცხლი, ტანისამოსი, სამკაულები, იარაღი. შემდეგ მეომარნი წყება-წყება მოსდევდენ სარდალს. აღმურ ანადენ სახეს სიხარულის ღიმილს ვერ შეამჩნევდით. ეხლაც ისევე, როგორც ბრძოლის დროს, სარდლის მზგავსათ სასტიკათ გამოიყურებოდენ, თითქოს მთელი მათი ფიჭრი და გონება, მთელი არსება სივრცეს შთაუნთქავს, სივრცეს, სადაც დაფ-დაფებისა და ომის ყიფინის მეტი არა გაისმის რა. ბოლოს მოერგებოდენ ტყვეებს. ესენი მძიმეთ მოახხარუნებდენ ბორკილებს. მამაცი მეომრები, მუხანათ ბედისგან დაჩაგრულნი, ეხლაც არ იტებდენ გულს და შურის ძიების გრძნობით შეჰყურებდენ მომხიარულე მტრებს. ლაშაზი და ნახევრათ შიშველი ქალები სასოწარკვეთილებით მისდევდენ ქმრებსა და ძმებს, მოხუცებულნი და ბავშვები იშვიათად ხედებოდენ აქ. საზოგადოთ რომაელებს უსარგებლო დავლის ტვირთათ დაწოლა არ უყვარდათ. ერთი რამ იყო საოცარი: სხვა დროს და პირობებში ერთმანერთის მოძულე და მოქიშპე მდიდრები და ღარიბები ეხლა, ამ ტყვეობის უღელ ქვეშ, ხელი-ხელ ჩაკიდულნი მოდიოდენ; მათ აერთებდა რაღაცა მშობლიური გრძნობა, საზოგადო მწუხარება, რაიც თავისუფლებისა და საშობლოს დაკარგვაში გამოიხატებოდა.

საზოგადო ზემისა და დასვენების შემდეგ ტყვეები საბაზროთ გამოაწყავდათ მოედანზე, სადაც აჟარებელი რომაელები

იყრიდენ თავს ცოცხალ საქონლის შესაძენათ. ზოგს გჭირვებოდა ღონიერი და ყოველისფერის ამტანი მუშა, ზოგი ხელოვანს დაეძებდა. საზოგადოთ ომებმა რომაელები გადააჩვია გარჯილობას. მიწის დამუშავებას, თუ ხელობას—დამამცირებლათ სთვლიდენ. ომის გარეშე მათთვის აღარა იყო რა საპატიო, ანუ საგულისხმიერო. ნადავლით გამდიდრებულნი შინ ფუფუნებისა და მბრძანებლობისთვის ბრუნდებოდენ. მათი სურვილების აღმსრულებელი კი ხელშეუბრუნებელი მხოლოდ და მხოლოდ ყურმოჭრილი მონა იყო. ტყვეთ მოყვანილი. და აი, ბაზარიც მალე ცოცხალ სახეს იღებდა. მყიდველები დიდის ყურადღებით უშინჯავდენ ტყვეებს კუნთებს, ტანის მოყვანილობას ზომავდენ და ასე გაიგებდენ თუ რამდენათ სასარგებლო იქნებოდა მათი ნასყიდი საქონელი. მდიდრები მეტ ყურადღებას აქცევდენ ქალებს, რომელნიც გაშიშვლებული იდგენ. ერთმანერთის მეტოქე მდიდრები ხშირათ მთელ თავიანთ ქონებას ჰკარგავდენ რომელიმე ქალის მხევლათ შეძენისათვის. საღამოთი კი ბაზრობა თავდებოდა და გრძელ ქუჩებში გაქიმულ ბაწარსავით მიერეკებოდენ მონა-მხევლებს თავ თავიანთი ახალ-ახალი ბატონები. ასე საწყლდებოდენ უბედური ტყვეები, რომელნიც მცირეოდენი ხნის წინ ჯერ კიდევ თავისუფალნი იყვენ, ბოროტი ბედის გამოისათ ეხლა ჰკარგავდენ ყოველისფერს, სამშობლოს, ოჯახს, ქონებას და, უმთავრესათ კი თავინთ პიროვნებას: ამიერიდან იგინი მხოლოთ ცოცხალნივთს წარმოადგენდენ და მეტს არაფერს.

დ. კასრაძე

(შემდეგი იქნება)



# პაპიტანი იანვარი.



პირმთვარა ძროხა და ლოცმანი ბობი.

უქურა იჯდა მწვანე ბალახით დაფენილ მინდორზე და თავის საყვარელ წიგნს კითხულობდა.— ზღაპრების კრებულს; იქვე ახლოს ძროხა ზანტათ წიწკნიდა ნოყიერ ბალახს. უქურამ ძროხას იმ ზღაპრის სახელი დაარქვა, რომელიც ყველაზე უფრო მოსწონდა— პირმთვარა.

— გამიგონე, პირმთვარა, ეუბნებოდა უქურა ძროხას; რატომ უყრს არ მიგდებ, ერთი მითხარი? მე გიკითხავ კეთილი ჯადოსანის ამბავს, რომელმაც ვერცხლის ტანსაცმელი აჩუქა პირმთვარას. შენ კი ზურგი შემოგიქცევია ჩემთვის და ბალახს იწიწკნები, თითქოს ფეხებზე გეკიდოს

ჩემი საყვარელი მთვარის ასულის ამბები! ის ეხლავე უნდა წავიდეს ნადიმზე, სადაც მთვარის შვილს შეხვდება. უიმე, რა სულელი ხარ! სულ არ მიგდებ უყრს... მაგრამ შენ ხომ ძროხა ხარ და როგორ გაიგებ ზღაპრებს! რა გაეწყობა, იდექი ეგრე გულგრილათ და კუდი უქნიე ბუზებს. მე მაინც შეყვარები, თუმცა არაფერი გესმის კი.

ამ სიტყვებით უქურამ მიაგლო წიგნი ბალახში და ძროხას კისერზე ხელები მოჰხვია. მერე უყრში ჩაუბერა, უნდოდა ძროხას უყრი გაენძრია. ამ დროს ბავშსა და ძროხას შუარაღაც ჩრდილი გაწვა. უქურა მიბრუნდა და მხიარული ღიმილით შეხვდა მოსულ კაცს.

— საიდან გაჩნდი, ბობი, ეკითხებოდა ბავში და მხიარუ-

ლათ ხტოდა ახალ მოსულის წინ, თან თავისი პაწაწა ხელებით იმისი ტლანქი ხელები დაიჭირა.

— გემი წყალ-თხელს წააწყდა და ველარ ვიძვრით — უთხრა ახალ მოსულმა, რომელიც „სწრაფი“ გემის ლოცმანათ იყო. მოკლეთ და ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ლაპარაკობდა. მისი დიდრონი, თაფლის ფერი თვალები ცოტა დაბნეულათ და მორჩილებით გამოიყურებოდნენ, რაიც სულ არ შეეფერებოდა მის ბოხსა და მძლავრ ხმას. — გემი წყალ-თხელს წააწყდა და მანამ ქარი არ ამოვარდება, ვერ დაიძვრის. ამ სიტყვებზე მან ხელი მოავლო რაღაც გრძელ ბალახს და წუწნა დაუწყო. — ლონიერათ ჩაერქო გემი, ქარის ამოვარდნამდის უნდა ვიცადოთ. მეც შემოვიარე, რომ აქაურობა მოვინახულო, ამბავი შევიტყო, დრო გავატარო.

— ბერე, როგორ მიაგდე გემი? — მკაცრათ შეეკითხა ბავში. კარგი ლოცმანი ყოფილხარ! ასე მეც შევძლებდი გემის გაღოლას!

— ი ი ი ი იყო, მორჩილებით შენიშნა მეზღვაურმა თავისი ბოხი ხმით.

იმან მჟაუნას მიაგნო და ხარბათ დაუწყო წუწნა. მისი მქერმეტყველება ამოიწურა კიდევაც.

— ჰმ! ზიზლით წარმოსთქვა ბავშმა. შენ ბაბუასთვის უნდა გეთხოვა, რომ გემი გავტარებინა: იმას სრულიათ არ ეშინია ბურუსის. ბევრია გემზე ხალხი? ჰკითხა მან.

— ძალიან ბევრი.

ბოზი განაგრძობდა მჟაუნას ღეჭვას.

— გინდა წამოხვიდე ჩემ გემზე? ნავით წაგიყვან. ბაბუა არ დაგიშლის. უთხრა ლოცმანმა ცოტაოდენი სიჩუმის შემდეგ.

— არ მინდა, მიუგო ბავშმა. მე არ მიყვარს იქ ყოფნა, საცა ძალიან ბევრი ხალხია. მაგრამ, ნავით კი წამოგყვები შენ. შორიდან შევხედავ გემს. ჯერ ბაბუას დავუცადოთ.

— სადაა? მოკლეთ ჰკითხა მეზღვაურმა.

— ის კიბოების დასაქერათ წავიდა, მიუგო ბავშმა. ბაბუა მალე დაბრუნდება, ბოზი, დაუმატა ბავშმა და სრულიათ სხვა საგანზე დაუწყო ლაპარაკი.

— მე ეხლა შევამჩნე, რომ შენ ჩემ პირმთვარას გეცხარ.

შენ სწორეთ ჩმისთანა თვალები გაქვს, როგორც ჩემ პირ-  
 მთვარას აქვს, სულ იმისთანა, სულ! ბობიმ ყურადღებით შეა-  
 ჩერა თვალები ძროხას.

— საუცხოო ძროხაა! წარმოსთქვა ბოლოს მეზღვაურმა.  
 ჩემთვის სულ ერთია—ვისაც უნდა ვგავდე, მისთვისაც ალბათ  
 სულერთია!

— ხომ ძალიან ლამაზია, შეპყვირა შეტქურამ და ალერსი  
 დაუწყო ძროხის მშვიდ და მოხდენილ თავს. — მგონი, მეორე  
 ამისთანა ძროხა მთელ ქვეყანაზედაც არ უნდა იყოს. იცი,  
 ბობი, რა მოვიგონე? მინდა შევაჯდე ზურგზე და ცოტა გავი-  
 სეირნო. მიშვედე, შემსვი პირმთვარას ზურგზე, ჩემო ბობი,  
 ცოტას გავისეირნებ, სანამ ბაბუა დაბრუნდებოდეს.

მორჩილმა ბობიმ ბუმბულივით აიტაცა ბავში და შე-  
 სვა ძროხის ფართე ზურგზე. პირმთვარა საოცარი დინჯი ზნის  
 ძროხა იყო. იმან მშვიდათ დაიწყოსიარული რბილ ბალახებზე,  
 და დიდის ყურადღებით ემორჩილებოდა პაწაწა ხელების მო-  
 ძრაობას, რომლებიც დიდრონ რქებში ჩასქიდებოდა.

ლურჯი ცის რბილი  
 იერი ნაზათ უერთდებოდა  
 ლაქვარდოვან ზღვის ზედა-  
 პირს. მოვერცხლილი ზვირ-  
 თები წყნარათ ეალერსებო-  
 და ნაპირის ქვიშას. ნაგვიან-  
 ნვეი ნორჩი ყვავილები საა-  
 მოთ აქრელებდა ზურმუხტ  
 ბალახს. ამ წარმტაც ბუ-  
 ნების წიაღში საუცხოო სა-  
 ნახაობას წარმოადგენდა  
 ლამაზ ძროხაზე მჯდომი  
 მშვენიერი, ცქრილა ბავ-  
 ში, ის სულ თავის მეგობ-  
 რისკენ იბრუნებდა თავს



და ამ დროს მისი ოქროს ფერი გრძელი თმა, მზის სხივებით  
 გამსჭვალულ, მსუბუქ ღრუბელივით ეხვეოდა მის ლამაზ თავს.

სწორეთ ამ დროს მათ შეუმჩნევლათ მიუახლოვდა კაპიტანი.



იანვარი. ის შეჩერდა და აღტაცებით უცქეროდა ამ მშვენიერ სურათს.

— ბაბუნ! შეკვირა შექურამ. — შემომხედე რა კარგი ცხენოსანი ვარ! შენც შეგიძლია ჩემთან დაჯდე, ჩემო ბაბუ! შენც მოთავსდები!

— არა, შვილო, შენი კირიმე თავი დამანებე, მიუგო ბაბუამ.

იანვარი მიესალმა ბობის, რომელმაც უცნაური და გაუგებარი ლულულულით უპასუხა.

— იცი, ჩემო პაწიავ! უთხრა ბაბუამ ბავშს. მე ახალგაზღვრულმა ვერაფერი ცხენოსანი ვიყავი, ახლა კი სულ არ ვარგვივარ. მე უფრო ჩემი ორი ფეხით ჯირითი მემარჯვება.

— ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ბობ, მიუბრუნდა ის მეზღვაურს, — რა ნაირათ მოხვდი შენ აქ დღეს? ხომ გემზე უნდა იყო?

ბობიმ მოკლეთ უამბო, თუ რა მოუვიდა გემს და სთხოვა კაპიტანს თავისი „სწრაფი“ გემის საჩვენებლათ შექურას წაყვანის ნება მიეცა.

— ძალიან კარგი, მიუგო კაპიტანმა. შენც ხომ გეხალისება ბობისთან ერთად ნავით გასეირნება, ჩემო პაწაწავ. მე დარწმუნებული ვარ — ბობი ძალიან გაგიფრთხილდება და მშვიდობით მომგვრის შენ თავს. წადი, ჩემო ყვავილო, ქუდი დიხურე და გზას გაუდექი.

ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ შექურა ბობის შავ ნავში იჯდა. ნავი სწრაფათ მისრიალობდა იქითკენ, საიდანაც მოჩანდა გემის თეთრი საკომლემელი.

საუცხოვო ამინდი იყო: მზის ნათელი სხივები ოქროს ღეჩაქივით ეფინებოდა ოკეანეს ზედაპირს და ნაზ წინწყლებათ ვფრქვეოდა თვალუწვდენელ წყლის სივრცეს. ცაზე ერთი ღრუბელიც არ მოჩანდა. ხან და ხან ნავის გვერდით უცბათ გაიხრიალებდა ჰაერში რომელიმე თეთრი ფრინველი, ან იქვე ახლოს გამოჩნდებოდა ვერცხლის ფერი ზღვის თევზი და თეთრად გაანათებდა. შექურას ერთი ხელი წყალში ჩაეყო, თან წყნარათ ღიღინებდა. ბავშს დიდი სიხარული და კმაყოფილება ემჩნეოდა. მას ჯერ არავითარი საზრუნავი და სადარდელი არ

შეხვედროდა ცხოვრებაში, ის სრული ბედნიერი იყო. ბაბუამ ასწავლა რამდენიმე საბავშვო სიმღერა, მაგრამ შუქურას ასეთი სიმღერა არ მოსწონდა. ის მუდამ იმისთანა რამეს მღეროდა, რაც მეზღვაურებისგან ჰქონდა გაგონილი და დასწავლილი მას მეზღვაურების სიმღერა უყვარდა. ასეთი სიმღერები ბაბუასაგან ხშირათ ესმოდა და ბეჯითათ იხსომებდა. ბობი მარჯვეთ ანძრევდა ნიჩაბს და თან შუქურას თავისი ბოხი ხმით ბანს აძლევდა. ის ისე მძლავრათ შემოსძახებდა ალაგ-ალაგ, რომ ნავი თავიდან ბოლომდე შეინძრეოდა.

ნავი მალე მიუახლოვდა იმ ადგილს, საცა გემი „სწრაფი“ იდგა.

შუქურა კარგათ იცნობდა ამ გემს, რომელიც დღეში ორჯერ ჩაუვლიდა ამათ კუნძულს. ბავში ყოველთვის ცნობის მოყვარეობით ადევნებდა თვალს ქათის განიერ თეთრ კვალს, გემის ბორბლები რომ სტოვებდა.

„სწრაფს“ დიდძალი მობანავე ხალხი გადაჰყავდა ზაფხულობით ერთ მახლობელ მხიარულ ქალაქში. თითქმის ყოველ დღე მიიბრუნდა ხოლმე ბავში კუნძულის სამხრეთ ნაპირას იმ დროს, როცა „სწრაფს“ უნდა გაეელო. ის მხიარულათ გასცქეროდა გემს და თეთრ წინსათარს უქნევდა თავის ნაცნობ მგზავრებს. შუქურა გემის ყველა მოსამსახურეს იცნობდა — შავწვერა კაპიტანიდან დაწყებული უკანასკნელ მსახურამდე. ყველას უყვარდა საუცხოვო ბავში, ყველა შენატროდა ბობს, რომელიც დაახლოვებული იყო ამ ბავშვის ბაბუასთან. კაპიტანი იანვარი ხომ გაურბოდა სხვებთან დაახლოვებას და არავის ეპატიებოდა თავის კუნძულზე. ბობი კი ყოველთვის სასურველი სტუმარი იყო იანვარისათვის. „ბობი სხვებივით თავს არ მამებრებს განუწყვეტელი ყბედობით“, იტყოდა ხოლმე კაპიტანი. „სასიამოვნოა იმისთანა კაცის შეხვედრა, რომელსაც ენის შეკავების უნარი აქვს“, ამბობდა ბებერი მეზღვაური ბობის შესახებ. ღირსიც იყო ბობი ასეთი ქებისა და მიტომაც ისე თავისუფლათ აბოლლებდა თავის ყალიონს „ქარიშხლის კოშკის“ მცხოვრებთა გვერდით.

— შეჩერდი, ბობი, მე აღარ მინდა უფრო ახლოს მისვლა, უბრძანა ბავშვმა მენავეს, როცა ნავი საკმაოთ მიუახლოვდა გემს.

ბობიმ ხელი გაუშვა ნიჩბებს. გემზე მდგომი და მჯღაჲ

შეზაფრები ნათლად მოსჩანდნენ და შუქურას კარგათ შეეძლო იმათი დათვალიერება. ზოგი ერთმანერთს ებასებოდა, ზოგი გემის მოაჯირს დაყრდნობოდა და ზარმაცათ დაჰყურებდა დაწყნარებულ ზღვას, თან ცდილობდა შეენიშნა, როდის მოხვდებოდა გემს მძლავრი ტალღა.

— ბევრი ხალხია, შენიშნა ბობიმ.

ზემო ბაქანი მართლაც გაქედილი იყო ხალხით.

— ძალიან მიკვირს, ბობი, უთხრა პატარა ქალმა, რათ დადის ეს ხალხი ერთი ალაგიდან მეორეზე. ნუ თუ თავიანთი ბინა არა აქვთ. ვინ უვლის იმათ სახლკარს, სანამ ესენი შინ არ არიან.

ადამიანებს უყვართ მოგზაურობა, რბილი კილოთი შენიშნა ბობიმ. ბევრ მათგანს საქმეც არა აქვს, ცხელა და უნდათ გაისეირნონ ზღვის გრილ ჰაერზე. შეიძლება შენც მოისურვო როდისმე გასეირნება. მოგბეზრდება ერთი და იგივე... ბაბუა... კლდეები...

ვერც მოასწრო ამ სიტყვების დათავება ბობიმ, რომ მთელი პეშვი წყალი შეეშხეთა, თვალები დაახუქვია, თავი და სახე დაუსველა.

— აი შენ, ასე გეკადრება! შესძახა შუქურამ, რომელიც მოულოდნელათ გახელებულ კატას დაემგვანა. როგორ ბედავ ასეთ რამეების თქმას, ეუბნებოდა ის და მღელვარებისაგან სულის ძლივს იბრუნებდა. ლოყები ანთებული ჰქონდა, თვალებიდან ნაპერწკალი სცვიოდა.

ბობიმ კი დინჯათ ამოიღო ჯიბიდან წითელი ცხვირსახოცი და თავ-პირის წმენდა დაიწყო, თან ისევ ისეთის სიყვარულით და მორჩილებით შესცქეროდა გაანახლებულ შუქურას, როგორც ყოველთვის.

— მე არ მინდოდა მეწყეინებია... წაილულლულა მან. საწყალი ბობი... გთხოვ მაპატიო. არასოდეს აღარ გეტყვი... ვწუხვარ...

შუქურას სწრაფათ დაავიწყდა თავისი მრისხანება და ისევ აღერსიანათ შეხედა შერცხვენილ ლოცმანს. ამოიღო თავისი ცხვირსახოცი და საკუთარი ხელით მოსწმინდა რამდენიმე წვეთი წყალი თავის დარცხვენილ მსხვერპლს მზისაგან დამწვარ შუბლზე.

— შენ იმისთანა სულელი ხარ, ბობი, რომ არ ღირს

გაჯავრება. მიბატებია ამ ჯერათ, მაგრამ, გახსოვდეს, რომ კიდევ როდისმე გაიმეორო ასეთი რამე, კიდევ რომ მი-  
თხრა ბაბუასთან ყოფნა მოგბეზრდებოა, მაშინ აღარ ვიცი რას  
გიზამ, რა რიგათ გაეჯავრდები...

— კარგი, კარგი... არასოდეს ეს აღარ გამეორდება,  
წარმოსთქვა ბობიმ სინანულის კილოთი.

გემის ზოგიერთმა მგზავრმა შენიშნა, რაც მოხდა ბავ-  
შსა და მეზღვაურს შორის.

— ნამღვილი აღ-ქაჯია! შენიშნა ვილაც მგზავრთაგანმა.  
ყველა სიყვარულით უცქეროდა ცელქ ბავშს, მაგრამ ერთმა  
ქალმა განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქცია ნავს.

— შეხედე იმ გოგონას, იზაბელლა, უთხრა ამ ქალს მა-  
ლაღმა, შევეგრემანმა კაცმა, რომელიც მოაჯირზე იყო და-  
ყრდნობილი. — არასოდეს არ მინახავს რომ ბავშს ასეთი მოელ-  
ვარე თვალები ჰქონდეს. საუცხოვო თვალები აქვს, მაგრამ ამ  
წამს ძალიან ბოროტათ გამოიციქირება. მშვენიერი გოგონაა...  
შენ რა მოგდის, იზაბელლა?

ღამეზავრი შეშფოთებით ჩააცქერდა მის გვერდით მდგომ ქალს

— შენ გული მიგდის! რა რიგათ გაფითრდი? მოიტა  
ხელი, დამებჯინე, ეუბნებოდა კაცი.

ქალმა კაცის ხელი იქით გასწია. ის აღელვებული მისჩე-  
რებოდა ნავში მჯდომარე ბავშს და გაქვავებულივით იდგა.

— ჯორჯ! მე უნდა შევიტყო, ვინაა ეს ბავში, შემიტყე  
როგორმე, გამოჰკითხე ვინმეს.

ქალმა ისეთი მღელვარებით მიუთითა ნავს, რომ თვითონ  
ბავშმაც შეამჩნია ესა და დაუწყო ცქერა უცნობ ქალს. ამასო-  
ბაში შევეგრემანი კაციც გაოცებული უცქეროდა ხან გვერდით  
მდგომ ქალს, ხან პატარა გოგონას და ვერ გამოეცნო რა ხდე-  
ბოდა იმათ შორის.

— იზაბელლა, უთხრა მან ბოლოს ქალს. ეს ბავში ძა-  
ლიან გგავს შენ—რას ნიშნავს ეს?

მაგრამ ამ დროს შეუქურამ, თითქოს რაღაცამ შეაშფოთაო,  
დაიყვირა:

— წამიყვანე შინ, ბობი, მე შინ მინდა წასვლა, შინ, ბა-  
ბუასთან. მალე, მალე ბობ!

— ახლავე, ამ წამში, მიუგო ბობიმ და შავი ნავი სწრა-  
ფათ გაშორდა გემს.

## ხელოვნება და ხელოვა ხელოვნება შორის.



ვერი ობობა სცხოვრობს მიწის სოროებში. ეს სოროები საუცხოვოთ არის გაკეთებული. ზოგიერთ ჯიშის ობობას, მაგალითად, ფრინველის მკამელს, სოროებზე თავსახურავი აქვს გაკეთებული. სამხრეთ ევროპაში, ამბობს ბლანშარი, შეხედებით ასეთ ობობას. ის სცხოვრობს განსაკუთრებით დამზადებულ სოროში. თვითოეული მათგანი კარგი ინჟენერია, მშენებელი მუშაა და კარგ ბინასაც იშენებს.

გავსინჯოთ ეს უკანასკნელი. ჯერ კი დავათვალიეროთ თვითონ ამშენებელი. მისი ფეხები შეიარაღებულია ეკლებით, რომლებიც ფორჩხებს მოგავონებთ, მისი თათების ფრჩხილები კი—სავარცხელს. ეს არის ობობას იარაღი. თინხარ მიწაში ის აკეთებს ღრმა, მოგრძო ჭას. ეს ჭა მალლა ცოტათი გაფართოებულია. ჭის გარშემო კედლებზე შეიძლება ობობა ამოცოდეს. ძლიერ დიდი მოთმინება ესაჭიროება ობობას, რომ ამოთხრილი მიწა ამოზიდოს. ეს მუშაობა კარგა ხანს გრძელდება. კედლებს ობობა ამაგრებს ერთგვარ ლორწოს მზგავს ნივთიერებით, რომელიც ჰაერის წყალობით მაგრდება.



მიწის მთხრელების სოროს სახურავი ახალი აქვს.

დღეთ ამ კარის დახურვა და გაღება, რომ კარი იღებოდეს და

ამ ნივთიერებას აკრავს, წმინდა აბრეშუმის მზგავსი, ქსოვილი, რომელიც ატლასზე უფრო რბილია.

ბინა მზათ არის. საჭიროა კარიც გაუკეთდეს. ახლა კი მართლა განცვიფრებაში მოჰყავხართ ამ ობობას. კარს აკეთებს მიწისას. მიწაში გახლართულია ლორწოიანი, აბრეშუმის მზგავსი ძაფები. გარედან კარი არაფრითარ განირჩევა ნიადაგისაგან. შიგნიდან—აბრეშუმით არის გაკრული. უნდა იცოდეთ

იხურებოდეს, როცა დასჭირდებათ. ეს უკანასკნელი არის ვაკეთებული სქელ და მკვრივ აბრეშუმისაგან. ერთ მხარეს ეს შარნირია, (ანჯამაა). მეორე მხარეს ბოქლომი, რომელიც შესდგება რამდენიმე წვრილ ხერელიდან. ობობასოროშია; ესმის ფილაც დადის სოროს მახლობლათ, ეგებ შესვლა უნდა მის ზინაში. ის მიცოცავს კარებთან, ებლაუტება ამ ხერელებს და ამაგრებს კარს. ღამით, სანადიროთ რომ გადის, საკმარისიაცოტათი ასწიოს სახურავი, კარი თვითონ იხურება, როგორც ასადებ-დასადები კარები სარდაფებში. სახლში რო დაბრუნდება, ფრჩხილებით ასწევს სახურავს და შეძვრება სოროში. თუმცა ამ ჯიშის ობობას მყუდროობა უყვარს, სოროებს ერთმანერთისაგან სულ ახლო აშენებენ.

აი რას ამბობს ოდუენი: „რაც უფრო აკვირდებით ობობას ბინას, მით უფრო გაკვირვებთ ამშენებელის ხელოვნება. შიგნიდან კარი კონუსს მოგაგონებთ. გვერდები სახურავს ცოტათი ირიბათ აქვს ჩაჭრილი. ადვილი გასაგებია, რატომ არის ამგვარათ ვაკეთებული სახურავი. გვერდები რომ სწორი იყოს, მაშინ დახურვის დროს ობობა ვერ ნახავდა მისაყრდნობ წერტილს და ამ შემთხვევაში მხოლოთ ანჯამა შეუშლიდა სახურავის ძირს ჩაშვებას. გარდა ამისა ყოველნაირი დაჭირება ზევიდან ადვილათ გასტეხავდა სახურავს. ამიტომაც, ობობა აკეთებს შესავალთან **ნარიბანდს**, რომელსაც დაეყრდნობა კარი და რომელსაც ველარ გადაშორდება.

ბოქლომით არის პატარა ხერელები, რომელსაც სახურავში ვხედავთ.

განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი ამ ხერელების განაწილებას. სულ არის ოცდა ათამდე ხერელი და სუყველა ერთ მხარეზე არის მოთავსებული—ისე კარგათ, რომ უკეთესათ შეუძლებელი იყო მათი დაწყობა. ერთ მხარეზე, რომ ანჯამაა, მეორეზე—ეს ბოქლომია.

უსათუოდ ასეთი დალაგება ხერელებისა ხელსაყრელია ობობასათვის. ინსტინქტი იმ ზომამდე კარგად ხელმძღვანელობს ობობას, რომ ის ხერელებს აკეთებს არც შარნირთან (ანჯამასთან) დაახლოვებით, არც სახურავის შუა ნაწილში, არამედ მჭიდროთ ალაგებს მეორე მხარეზე, შარნირის (ანჯამის) მხორებით.

რაც უფრო მეტს ვაკვირდებით ობობას ხელოვნებას, მათ უფრო ვრწმუნდებით რომ მას ამოდრავებს მხოლოდ ინსტინქტი. სხვა რამ რომ ამოდრავებდეს მას, მაშინ უნდა გადავწყვიტოთ, რომ მას აქვს არა მარტო უმაღლესი ნიჭი აზროვნებისა, არამედ ისეთი ცოდნაც, რომელსაც ადამიანი იძენს ხანგრძლივი სწავლით და წინაპართა ცდის გამოცენებით. ობობა მოქმედობს მხოლოდ ინსტინქტით, აზროვნებას აქ ადგილი არა აქვს. რაც შეეხება რამე გაუმჯობესებას ხელოვნებისას, რომელიც მოსდევს გამოცდილებას, როგორც სხვა მწერებს, ობობასაც არა აქვს იგი. რამდენიმე წლის შემდეგაც მან სწორეთ იმდენი იცის, რამდენიც მაშინ, კვერცხიდან რომ გამოიჩეკა.

მეცნიერები ყველანი ერთი აზრის არ არიან იმის შესახებ, თუ რა ამოდრავებს ობობას მის ხელობაში. ოდენი ხელავს მხოლოდ ინსტინქტს, სხვები—ნიქს.

მიწის მთხრელ ობობას არ უყვარს სინათლე. სინათლეზე ის იკუმშება. ერთი ობობას სანახავათ სულ ხშირად მოდიოდენ. გაჯავრებულმა ობობამ დახურა სახურავი და გაქსელა აბრეშუმის ქსელით.

ცნობილი გესლიანი ბაბაჭუა (tarantula) სცხოვრობს სოროებში და გამოდის მხოლოდ ღამე. დიუფურის ამბობს, რომ იგი სცხოვრობს მშრალ, მწირ ადგილებში. ძლიერ უყვარს მზე. მიწაში სთხრის გრძელ, ცილინდრის მზგავს ტალანს, რომელიც სიგრძით ერთ ფუტს უდრის.

სოროს რომ დააკვირდებით, ადვილათ დასკვნით, რომ მისი ამშენებელი არა მარტო გამოცდილი მონადირეა, არამედ კარგი ინჟინერიც. ბინა ისე უნდა ააშენოს, რომ შიგ დაემალოს მტერს და თან კიდევაც დაზვეროს. სოროში შესავალ-გამოსავალი ჯერ არის ვერტიკალი მიმართულებებისა, მერე 4—5 დიუიმის სიღრმეზე ის გადაიკეცება და აკეთებს ბლანკ კუთხეს. აქ არის ჰორიზონტალი მუხლი, მერე ეს შესავალი ისევ მოდის პერპენდიკულიარათ. აი ამ მუხლის ძირში ზის მზვერავი და ერთი წუთით თვალს არ აშორებს შემოსასვლელ ხვრელს. აქედან მოსჩანს მისი აღმასებსავით ბრჭყვიალა თვალები. სიბნელეშიაც ბრჭყვიალებენ ეს თვალები. ზედა ხვრე-


ლიდან გარეთ გადის ლულა, ეს უკანასკნელი ერთი დიუიმის სიმაღლეზე არის ამოღებული, სოროზე განიერია; ეს იმიტომ რომ ბაბაჭუას ნადავლი რომ მიაქვს, თავისუფლათ ამოძრავოს. ეს ლულა გაკეთებულია ხის ხმელი ნაფორებიდან, რომელიც თიხასთან ერთად დაუღეკავს ბაბაჭუას. ისე დაულაგებია მას მასალა. გეგონებათ ნამდვილი ხარაჩოებიანო.

შიგნიდან ეს ლულა გამოფენილია ქსელით, ამითავე არის გამოფენილი მთელი სორო. ქსელი ბინას იცავს წყლისაგან, მიწის ჩამოწოლისაგან, ეხმარება, როდესაც ბაბაჭუა მოცოცავს მალლა, ფეხებს ადვილათ იმაგრებს ქსელზე.

დიუფურს უნდოდა დაეჭირა ეს მწერი. დიდხანს ვერ გამოაგდო სოროდან. ხერხი იხმარა: ჩაღას ახახუნებდა შესავალთან. ობობას ეგონა რომელიმე მწერიაო და მოინდომა დაჭერა.

დიუფურმა გამოსწია ჩაღა, ბაბაჭუა გამოჰყვა. ამ გვართ დიუფურმა თხუთმეტამდე ბაბაჭუა დაიჭირა. სულ ადვილია მისი დაჭერა. თავლის სანთლის პატარა მარცვალს უნდა მიაბათ ძაფი და ჩაუშვათ სოროში. ობობა ეცემა და ჩასჭიდებს ყბას. სანთელი რბილია. და ყბას ველარ გაინთავისუფლებს.

ა. ფაღვა.



# ჩვენი დედამიწა.

საიდან წარმოსდგა ზეადაგი.



ხლან ვეცადოთ შევიტყოთ საიდან წარმოსდგა ზეადაგი.

მივიდეთ მდინარესთან, რომელსაც ჩამორღვევია ტალღების წყალობით ნაპირი: წყალს იმდენი უმუშავნია, იმდენი ურღვევია მიწა რომ სულ წაუღეკია რაც რამ მცენარეულობა იყო ამ ნაპირზე, ჩაუხრამავს კიდევ. ეხლა ცხადათ სჩანს, რომ ნაპირი ამ მდინარისა შესდგება რამოდენიმე ფენებისაგან. ზვეითური

ფენა უფრო თხელი და შავი ფერისაა. აქ არის გადახლართული გადაკვანძული ძირები და ფესვები ყველა მცენარეებისა. აი სწორეთ ეს არის ზეადაგი.

ზოგიერთი მცენარეები—მაგალითად ხეები—არ დაკმაყოფილებულან ზეადაგს და უფრო შორსაც, უფრო ღრმათაც ჩაუშვიათ თავიანთი ფესვები. ამ ფენას თუ დაუკვირდებით შეამჩნევთ, რომ შავი კი არა, უფრო ღია ფერი აძევს და აღარც ისე იფშვნება ხელში, როგორც ზეადაგიდან აღებული მიწა. მისი აღება არა თუ ხელით, ბარითაც გაგიჭირდებათ. აი ეს ფენა არის ნიადაგი.

კიდევ უფრო ქვეშ რომ ჩავეშვათ, დავრწმუნდებით რომ მიწა იქ ისე მაგარია რომ თოხითაც ვერაფერს დავაკლებთ.

ხშირათ საჭიროება მოითხოვს გზების გაყვანას გორაკებში. მაშინ აუცილებლათ მოუხდებათ გაჭრა იმ მაგარი ფენისა, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით. მუშაობა კი ამ მაგარ ფენაში შეუძლებელია არა თუ თოხით, წერაქვითაც კი, მაგრამ გონიერმა ადამიანმა ამასაც მოუძებნა თავისი წამალი. მოიტანა მსხვილი და დიდი ბურღი, ჩაბურღა რამოდენიმე ადგილს ეს მაგარი ფენა, ამ ნახვრეტებში ჩაყარა თოფის წამალი, მიადო

პატრუქი და აანთო. თავისთავათ ცხადია, რომ პატრუქი დაიწყო და როცა ცეცხლი თოფის წამალს მიუახლოვდა, საშინელი გრიალით იფეთქა, დაამსხვრია მის გარშემო მყოფი სიმაგრე, ეხლა კი, სადაც გსურთ, იქ შეგიძლიათ წაღება ამ ნამტვრევებისა. ამ მაგარ ფენას ჩვენი დედა—მიწისას ჰქვია მთის ჯიში.

### ხაიდან წარმოსდგა ზეადაგი?

აღამიანმა გამოიკვლია და შეიტყო, რომ ზეადაგი წარმოსდგა სხვა-და-სხვა მთის ჯიშისაგან. ზევით ჩვენ დავინახეთ კიდევაც, რომ ზეადაგი მიწის ზევითაა მოქცეული თხელ ფენათ. თუ ამოვთხრით მიწას უფრო ღრმათ, მაშინ დავინახავთ არა მარტო ზეადაგის ფენას, არამედ სილის, თიხის, ან მაგარი ქვის ფენასაც. სადაც არ უნდა მოთხაროთ ღრმა ორმო, ყოველთვის აუცილებლათ მთის ჯიშის მაგარ ფენამდის მიაღწევთ.

აგერ თქვენ თვალწინ ძვეს მთის ჯიშის პაწია სუფთა, ახლათ ჩამომტვრეული ნატეხი. კიდევები მას დანასავით გაღესილი და მჭრელი აქვს; ასე რომ შეიძლება ხელიც კი გაიკაწროთ, თუ როგორმე გაუფრთხილებლათ მოგებდათ შეხება. ამის შემდეგ ახირებულათ და შეუძლებლათაც მოგეჩვენებათ რასაკვირველია, თუ გეტყვით რომ ამგვარი მაგარი ქვისაგან წარმოსდგა ის რბილი, ფუნჩულა, ფხვიერი მიწა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ზეადაგს.

ავილოთ წელანდელი ქვის ნატეხი და დავნაყოთ, დავაუქვიოთ, ვაქციოთ ფხვნილათ. შეიძლება თუ არა ამ ფხვნილად ვუწოდოთ ზეადაგი? გავს თუ არა იმ შავ მიწას, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ და რომელიც დახვრელილია მცენარეთა ძირ-ფესვებით.

დავთესოთ ამისთანა დანაყილი ქვის ფხვნილით ავსილ ქოთანში რამოდენიმე მარცვალი. დავთესოთ აგრეთვე მეორე ქოთანშიაც, რომელიც ავსილია შავი, ნაყოფიერი მიწით. მოვრწყოთ ხშირათ.

რამდენიმე დღის შემდეგ შევამჩნევთ, რომ ორივე ქოთანში ამოვა სრულებით სალი და ერთგვარი მცენარე, მაგრამ მალე იმასაც დავინახავთ, რომ ქვის ფხვნილიან ქოთანში აღმოცენებული მცენარე თითქმის მთლათ შეაჩერებს ზრდას: ის ვახდება სრულებით უსიცოცხლო, მის სიმწვანეს სიყვით-

ლევ შეეპარება; მაშინ, როდესაც ნაყოფიერ მიწით საესე ქოთანში ამოსული მცენარე განაგრძობს ზრდას: მაღალი ხდება, ღრანიერდება და ფოთლები ზურმუხტივით უმწვანდება: კოტა კიდევ და შევამჩნევთ რომ ქვის ფხვნილზე ამოსული მცენარე ილუპება და ხმება უსაზრდოობის გამო.

ცხადია ზეადაგი მარტო ქვის ფხვნილისაგან არ არის შემდგარი, ბუნებამ იგი ისე კი არ დაამზადა, როგორც გავაკეთეთ ქვის ფხვნილი ჩვენი მცენარისათვის; აქი იმიტომაც დაილუპა ისე მალე იმაზე ამოსული მცენარე, ვერ ასაზრდოვა ის მარტო ქვის ფხვნილმა.

ძველათ, ძალიან დიდი ხნის წინათ, დედა-ძინა წარმოადგენდა პიტალო კლდეებს, ქვას, რომელზედაც არ ხარობდა არავითარი მცენარეულობა. როგორ ფიქრობთ შეგვეძლო ჩვენ ცხოვრება, რომ ყველაფერი ისე დარჩენილიყო ჩვენამდინ დედა-ძინაზე? რატომ არა?

აი ამ კლდეებს ბევრისაგან ბევრი წლების განმავლობაში დაჰყურებდა მზე თავისი მგზნებარე სხივებით და ძლიერაც ახურებდა. დამდამობით კი გრილდებოდა, ცივდებოდა. პაწაწა ნამცეცები, რომლებსაგანაც შემდგარია დიდი-უზარ-მაზარი კლდეები, სითბოს გავლენით განივრდებოდნენ, აწევებოდნენ ერმანერთს და როდესაც დამის სიგრილე-სიცივისაგან იკუმშებოდნენ და პატარავდებოდნენ. ცხადია ნამცეცებთა შორის ჩნდებოდა პაწაწა ჭუჭრუტანები დლითი-დღე ეს პაწაწა ჭუჭრუტანები დიდდებოდნენ, განივრდებოდნენ და ბოლოს ნაპრალებათ იქცეოდნენ.

არა ერთხელ გინახავთ უთუოდ როგორ სკდება ჭიქა სიცივისაგან, როცა შიგ უცბათ ჩაახამენ ცხელ ჩაის. ამ გვარათვე სკდება სწორეთ კლდეებიც სითბო—სიცივის გავლენით.


კლდეებს დრო გამოშვებით დასდიოდა წვიმა წვიმის წვეთებიც კოტ-კოტათი ალბობდა, რეცხდა და თან არღვევდა ამ სალ კლდეებს, მაგრამ წვეთების მუშაობა ამით როდი თავდებოდა: წყალი ჩადიოდა, ჩაგუბდებოდა ნაპრალებში და, როდესაც მას ყინვა მოუსწრებდა, კიდევ უფრო გააღრმავებდა, გააგანიერებდა ნაპრალებს, ბოლოს კიდევაც გაარღვევდა. გახეთქდა კლდეს, რადგანაც წყლის განსაკუთრებულ თვისებას ის შეადგენს, რომ გაყინული წყალი ყოველთვის გაუყინავზე მეტ ადგილს იკ-

ერს. წყლის ამ თვისების წყალობით ირღვევა კლდეები. თუ გინდათ ადვილათ წარმოვიდგინოთ ყველა ეს, სცადეთ შემდეგი: აიღეთ წყლით სავსე ბოთლი, მაგრათ დაუცავით თავი და გადგით კარში ყინვაში. როდესაც გაიყინება წყალი, აუცილებლათ გასკდება ბოთლიც, რადგანაც გაყინულ წყალს ადგილიც მეტი ეჭივრება ვიდრე უბრალოს. გაუყინავს. ამგვართაა სწორეთ ნაპრალებშიაც ჩამდგარი წყლის საქმეც, ამგვართ ხდება კლდეების დაშლა-დაარღვევა.

ბოლოს და ბოლოს ამ შეუჩერებელმა რღვევა-ნგრევამ დაანამცეცა და დაფშვნა ყველა კლდეები. წყლისა და სითბო სიცივის გავლენით ნამცეცები კიდევ უფრო იშლებიან, იქცევიან სილათ და თიხათ. აი ეს თიხა და სილას სწორეთ ის მიწა, რომელსაც ჩვენ ვეძახით ზედადგს.

ამ თიხასა და სილას დააწვიმა თუ არა, აღმოცენდა მცენარეები, მაგრამ მაშინ რა ჯურის მცენარეები იყო, რისგან, ან ვისგან ჩაითესა პირველათ თესლეული სილანარევე თიხაში, ეს ჯერაც არავინ იცის. იციან მხოლოდ რომ სილისა და თიხის გაჩენისათანავე გაჩნდა მცენარეულობაც. მცენარეები იზრდებოდენ. ამ ზრდაში თავისი ძირ-ფესვებით დაფშენეს სილანარევი თიხა და ყველა მთის ჯიში. შემდეგ როცა მცენარეები დაბერდენ, დაფუტუროვდენ, წამოუბერა მათ ძლიერმა ქარმა, წააქცია, მოთხარა ტანიან ძირ-ფესვიანათ. ისინი შეეზავენ ზედაპირს მიწისას, რომელიც მაშინ წარმოადგენდა მარტო თიხასა და სილას. დიდი ხნის შემდეგ ეს მცენარეები დალბენ და მიწას სასუქათ დაედვენ. ამ ზედადგზე ამოსული მცენარეულობა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე წინეთ. ახლა ზედადგი გაპოხიერებული, განოყიერებული იყო. ახლათ ამოსული მცენარეულობაც იზრდებოდა, მრავლდებოდა-კვდებოდა და ისევ ანოყიერებდა მიწის ზედადგს. ამგვარად კიდევ

მეტი სასუქი მიემატა ზედაპირს მიწისას და თან და თან თიხისა, სილისა და დამპალასაგან შემზადდა და შემუშავდა ზედაგი.



წყალმა, ყინვამ და სიბომ დაარღვია და დაშალა მთის ჯიშო. აქცია სილათა და თიხათ. ნაკადულმა და მდინარეებმა ისინი ჩამორეცხა და ჩამოიტანა ქვევით. დაღარული დასტოვა მთის ფერდები.

მცენარეულობის გაჩენასთან ერთად გაჩნდნენ ქვეყანაზე ცხოველებიც. ცხოველები ისე, როგორც მცენარეები, იზრდებოდნენ, ცხოვრობდნენ და შემდეგ კვდებოდნენ. ისინი, როგორც თავის სიძველებითა და ხორციით, ისე განავალით ედებოდნენ მიწას სასუქათ. ამგვარათ მიწის ზედაპირი სულ უფრო და უფრო სქელდებოდა, ნოყიერდებოდა და, რასაკვირველია, მცენარეთა სამეფოც უმჯობესდებოდა.

ჩვენ შევიტყუეთ აქამდინ ერთგვარი შემზადება ზედაგისა, ახლა კი შევიტყუათ კიდევ მეორე გვარი; რომ გავიგოთ ეს მეორე გვარი შემზადება ზედაგისა მივიღეთ რომელიმე მდინარესთან.

მდინარესთან რომ მივალთ, დავინახავთ რომ ნაპირი მდინარისა შემდგარია სილისა და აურაცხელი კენჭებისაგან, რომელიც ჩამოიტანა წყალმა.

გიაშობთ ამ სილისა და კენჭების გაჩენის ამბავს. აი როგორ: მაღალ მთებიდან გადმოდენილი მდინარე, თავისი ტალღებით მოაქანებს ნაპირებიდან ჩამონგრეულ ქვებს. წვიმა და სიცივეც მდინარის პაწია ტალღებთან ერთად ამტვრევდენ და ანამცეცებდენ ქვებს.

ნამტვრევ ქვებს სწრაფი მდინარე მიეზიდებოდა დაღმართისაკენ. ისინი ერთი მეორეს ეხახუნებოდნენ გაღესილი კიდებით. ამ ხახუნში, გარდა იმისა რომ აღრმავებდნენ ფსკერსა და მთელ კალაპოტს მდინარისას, ისინი კიდევ სტოვებენ ძალიან

წმინდა ფხენილს-სილას და თიხას. ეს თიხა და სილა შემდეგ გამოირიყებოდა წყალ-დიდობის დროს. გარიყულ თიხასა და სილაზე ქარისა და თვით წყლის საშეაღებით ითესებოდა სხვა-და-სხვა მცენარეების თესლეული. თესლისაგან აღმოცენებული მცენარეულობა ხარობდა, იზრდებოდა და ბოლოს ბერდებოდა. დაბერებული მცენარეულობა, საცა იზრდებოდა იქვე ჩაწვებოდა და დაღებოდა. დამპალი მცენარეები კი სასუქათ ედებოდა უნაყოფო სილასა და თიხას და ანოციერებდა ზედაგს.

ცხოველები და მცენარეები დღემდისაც ასე უწყობენ ხელს ბუნებას ზედაგის შემზადებაში: მანამ ცოცხლობენ, თავიანთი განავალით აპატიებენ მიწას, მოკვდებიან და მიწაშივე ლებებიან. ასე განუწყეტლათ ემატება და ემატება ნოციერება დამპალა ზედაგს მიწისას ცხოველების და მცენარეების წყალობით.

ზოგიერთი ცხოველები კიდევ სხვანაირათაც უწყობენ ხელს ბუნებას ზედაგის შემზადებაში. ვაგეგონებათ უთუოდ რომ ქვეყანაზე ცხოვრობენ წვიმის ჭიებიც ისე, როგორც სხვა ბევრი ცხოველები.

ეს წვიმის ჭიები ჩაათრევენ ხოლმე ჩამოცვენილ ფოთლებს მათგანვე გაკეთებულ ნახვრეტებით მიწის სიღრმეში. მიწაში რასაც სჭამენ-სჭამენ, რაც არა დარჩება იქვე და ლებება, ედება სასუქათ. უთუოდ თქვენც ხშირათ გინახავთ მიწაში ნახვრეტი და იმ ნახვრეტში ჩაცობილი მწვანე ფოთალი: ეს უთუოდ უძლეური, მაგრამ დახელოვნებული ოსტატის-წვიმის ჭიის ნამოქმედარია: ეტყობა ველარ მოუსწრია, ანუ უკეთ, ველარ მოუხერხებია ფოთლის მიწაში ჩათრევა.


წვიმის ჭიები მიწაში ცოცვის დროს ხვრელავენ მიწას, აფხვიერებენ; ამით ისინი, რასაკვირველია, ხელს უწყობენ ბუნებას ზედაგის შემზადებაში. იქ, სადაც მიწა განსაკუთრებით მაგარია (მკვრივია) და ჭია თავისი ბოლოთი, როგორც ბურღით, ვერ ჩაბურღავს, ვერ ჩახვრეტს მიწას, მის ყლაპვას მოჰყვება. ჩაყლაპულ მიწას გაატარებს ტანში, მის ერთადერთ გრძელ წელში, მიწას ემატება კუჭის წვენი, რომელიც ჩაყლაპულ მიწას ათხელებს, ფაფასავით ჰხდის, შემდეგ ჭია დაჰყრის,

დააგროვებს სადმე ამ მიწას. ეს მიწა მეტათ აპოხიერებს ზედადგს. ამგვარ მუშაობას ეწევიან სუყველა ქიები. რასაკვირველია ღიდისაგან-ღიდი სარგებლობა მოაქვს მიწისათვის.

დარწმუნებული ვარ წვიმის შემდეგ ხშირათ გინახავთ ბაღებსა, ბოსტნებსა, ყანებსა თუ მინდვრებში ამისთანა მიწის გროვები, ვინ იცის როგორ გაგაკვირვავთ კიდევ მათმა დანახვამ, აღვიძრათ სურვილი იცოდეთ თუ საიდან გაჩნდენ ისინი, ვინ გააკეთა. ამას იქით იცოდეთ, რომ ისინი დააგროვეს წვიმის ქიებმა თავიანთ ტანში მონელებული მიწით.

ხვრელავენ და აფხვიერებენ მიწას აგრეთვე მუღოები (земле-ройки), თხუნელები, მახრები (Медведки) და ბევრი სხვა ცხოველები და მწერები. ამ ვიწრო ხვრელებში (ნახვრეტებში) ადვილათ შედის ჰაერი, წვიმის წყალი. ჰაერის გავლენა კი იმაში მდგომარეობს, რომ ადვილათ აღბობს მიწაში მყოფ მცენარეულთა ნაშთს, ცხოველთა ლეშს. თავი და თავი კი ისაა, რომ ჰაერის გავლენა ადვილათ შლის, ანამცეცებს ქვას, თიხას და სილას, ნაყოფიერ მიწათ აქცევს.

არ გეგონოთ რომ ჰაერის მუშაობა ამითი თავდებოდეს: ის აძლევს სიცოცხლის ძალას იმ ურიცხვ პაწია ცხოველებს, რომლებიც შავ, მსუქან მიწის ყოველ ნამცეცში არიან. ამ პაწია ცხოველების უბრალო თვალით დანახვა შეუძლებელია, მაგრამ თუ დააკვირდებით მიკროსკოპით, მაშინ კი შესაძლებელია დაინახოთ. ყველა ეს პატარა არსებათაგანი თავის სიცოცხლეს, მოქმედებას იმაში გამოსახვენ, რომ უზარ-მაზარ კლდეებს ბურღავენ, ფშვნიან, ანამცეცებენ და ზედადათ აქცევენ.



მუღოს ხვრელები და სოროები მიწაში.

თუ ზედაგში მცენარეთა და ცხოველთა დამბალი ნამცე-  
 ცები სჭარბობს—მას მსუქანი, ნაყოფიერი ზედაგი ეწოდება;  
 თუ სილა სჭარბობს—სილნარს ეძახიან; თუ თიხა—თიხ-  
 ნარს. თიხას, სილას და ქვის ფენას, რომელსაც ჩვენ ვხედავთ  
 ზედაგის ქვეშ ეწოდება მთის ჯიში.

**კითხვები, დაკვირვებანი და საცდელი სამუშაო.**

გინახავთ თუ არა ზედაგ ქვეშ ქვის ფენა?

გინახავთ თუ არა როგორ თხრიან ჭებს? ადვილი იყო თუ  
 არა დასაწყისში ეს მუშაობა? შემდეგ?

არ გინახავთ იმისთანა ქვის ნატეხი, იმდენათ დაშლილი  
 წვიმისა, სითბოსა, ჰაერისა და ხის ძირებისაგან, რომ თქვენ  
 ხელითაც კი შეგძლებიათ მათი დამტვრევა?

იშოვეთ რომელიმე მთის ჯიშისაგან ახლათ ჩამოშორე-  
 ბული ქვის ნატეხი, სინჯეთ მისი დამტვრევა ჩაქუჩით. ნახეთ  
 თუ დაიმტვრევა ადვილათ?

ჩადით მდინარის პირათ, დააკვირდით წყლისაგან ჩარ-  
 ღვეულ ნაპირს, ან ჩახრამულ ხევს, საცა შეგიძლიათ ცხადთ-  
 დანახოთ თუ როგორ ჩაჭრილა მცენარეთა ძირები ზედაგის  
 სიღრმეში. შესაძლებელია დანახოთ ნაშენობა სხვა და სხვა  
 ფენებისა ზედაგს ქვეშ? დააკვირდით მათ.

იპოვეთ წვიმის შემდეგ თქვენი ბალის ბილიკებზე პაწია  
 მიწის გროვები წვიმის ჰიისაგან დადგმული და კარგათ დააკვირდით.  
 რითი საზრდოებენ წვიმის ჰიები?

ეგებ იცოდეთ რა ფენების ნაშენობაა იმ ზედაგს ქვეშ,  
 საცა თქვენ ცხოვრობთ.

რა სიღრმეს აღწევს ზედაგში მცენარეთა ძირ-ფესვები იმ  
 ადგილს საცა თქვენ ცხოვრობთ?

დაასახელეთ თუ იცით ის ცხოველები, რომელნიც მიწაში  
 ცხოვრობენ. როგორ უწყობენ ისინი ხელს ზედაგის გაუმ-  
 ჯობესებას?

როგორ ხდება ბუნებაში ყველა მთის ჯიშის, კლდეების  
 დანამცეცება?

დააკვირდით თქვენი სახლის წვიმის წყლის სადენ მილის  
 ქვეშ მდებარე ქვას, რას უშვრება მას წყალი?

როგორ ამუშავენ მისას მიწის მუშა, როცა დასათესათ  
 გმწადება?

როგორ ფიქრობთ, რისთვის აფხვიერებს იგი ზედაგს?  
 რისთვის აპატივებს?

ელ. ჭიჭინაძე.

(შემდეგი იქნება).

სრული 27 წლების  
ყურნალი



ქ ე ჯ ი ჯ ი



იუიღება რედაქციაში  
80 მ. ცალკე თითო  
წლებისა 5 მ.



1918 წ.

განახლებული სახანოვილო ნახატ. უპრნალი

# ჯეჯილი

საბჭოთა  
1918 წ.

საბჭოთა  
1918 წ.

ჯეჯილი დასსებულის 1890 წელს.

გამოვა თვეში ერთხელ, უპრნალში ორი განყოფილება, ზატარებისათვის და მოსწრდილთათვის.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში ქ. შ. წ. კ. საზოგადოების მალაზიაში და თვით ჯეჯილის რედაქციაში, არტილერიის ქუჩა, № 5.

უპრნალი წლიურათ ღირს 20 მან. ნახევარი წლით 11 მან. ცალკე ნომერი—2 მან. განახლებულ უპრნალი მონაწილეობას იღებენ საუკეთესო მხლები.

ხელმძღვანელთა ახლათ შემდგარი კომისია (ქრ. შარაშიძე, ალ. ფადავა. ან. ხახუტაშვილი (ცქვიტი) და ნ. ჩაგუნავა—გელაშვილი შეეცდება უპრნალის ნორჩ მკითხველებს მიაწოდოს სალი და გონებრივი საზრდო.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედაქტორი—გამომცემელი ან. წერეთლისა.